ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ. „ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲡ“ ᲔᲠᲗᲘ

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

№3 (1693) 28 თებერვალი — 5 მარტი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ www.versia.ge

„ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲑᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲓᲐᲚᲔᲕᲔᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲐᲠᲬᲧᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛ ᲜᲐᲠᲬᲧᲔᲕᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ“

რა ხდება ე.წ. მეტადონის პროგრამაში

„ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲒᲘᲬᲝᲚᲓᲔᲑᲗ!“

გმირობის სულისშემძვრელი ისტორიები და რუსული ოკუპაციის 103-წლიანი ქრონიკა

125 ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ SECURITY POLICE

ᲠᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ᲠᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ირაკლი ჩიქოვანისა და მისი დიპლომატი მეუღლის მოკრძალებული ქონებრივი დეკლარაცია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულის ბრალდებით 270 პირი დააკავა, მათ შორის, 27 ნარკორეალიზატორია

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, თეიმურაზ კუპატაძის ბრიფინგი

„შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ნარკოდანაშაულთან ბრძოლა და ნარკოტიკების გამსაღებლების წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 270 პირია დაკავებული, აქედან 27 ნარკორეალიზატორია.

მინდა განვმარტო, რომ დაკავებულ პირთა შორის არიან ნარკორეალიზატორები, რომლებიც ტრადიციული – ხელიდან ხელში გასაღების მეთოდით ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას. გარდა ამისა, დაკავებულები არიან ე.წ. დამდებები, რომლებიც სხვადასხვა ლოკაციებზე დადების მეთოდით ასაღებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. დაკავებულებს შორის, ასევე, არიან ნარკოტიკების საზღვარზე უკანონოდ შემომტანი პირები, რომლებსაც ქვეყანაში სხეულით შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

დაკავებულები არიან, როგორც საქართველოს, ასევე, ირანის, თურქეთის, სომხეთის, იორდანიის, რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ერაყისა და ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქეები.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულების მიერ მითითებული ლოკაციებიდან, ასევე, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, მათი ავტომანქანების და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები:

„ჰეროინი“, „კოკაინი“ „ალფა პვპ“, „სუბოტექსი“ „სუბოქსინი“, „მეტადონი“, „მდმა“, „ლსდ“, „მეფედრონი“, „ამფეტამინი“, „ექსტაზი“, „ჰაშიში“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“.

ბრალდებულებისგან პოლიციამ, ასევე, ნივთმტკიცებად ამოიღო სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აქვე მინდა მცირე განმარტება გავაკეთო ბოლო პერიოდში მედიასაშუალებებში გასულ სიუჟეტებთან და საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ქვეყანაში არსებულ ნარკოვითარებას.

ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებები ძირითადად შემოდის სახმელეთო და საჰაერო გზებით, ასევე საფოსტო გზავნილების მეშვეობით. ამ გამოწვევების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ერთად, 24-საათიან რეჟიმში ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს. შექმნილია უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც შედგება სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისგან და კოორდინირებულად, ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება სარისკო გადაზიდვების მონიტორინგი, რის შედეგადაც ხდება ნარკოტიკული საშუალებების შემოტანის ფაქტების გამოვლენა საქართველოს საზღვრებზე.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან, რომლებთანაც მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ნარკოტრანზიტის ფაქტები.

დღევანდელ რეალობაში, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, ნარკოტიკების რეალიზაციამ ინტერნეტ სივრცეში გადაინაცვლა. ნარკომომხმარებლებთან კომუნიკაცია ფიზიკური კონტაქტის გარეშე, ინტერნეტის საშუალებით ხდება. აღნიშნული გზით გასაღებული ნარკოტიკული საშუალებები წარმოადგენს კუსტარულად დამზადებულ სინთეტიკურ ნარკოტიკულ საშუალებებს, რაც მომხმარებლებში იწვევს ფატალურ შედეგებს. უმეტეს შემთხვევებში ნარკორეალიზატორები გასაღების სქემაში რთავენ ახალგაზრდებს, ონლაინ სივრცეში და სხვადასხვა მეთოდებით აცხადებენ ვაკანსიებს და სთავაზობენ სოლიდურ გასამრჯელოს.

მინდა აღვნიშნო, რომ ზემოხსენებული საქმიანობა მძიმე დანაშაულია, ეს არ ნიშნავს მხოლოდ სხვადასხვა ლოკაციებზე ნარკოტიკების განთავსებას, არამედ, წარმოადგენს ნარკოტიკების რეალიზაციას, რისთვისაც სასჯელი ძალიან მკაცრია და მსგავს საქმეებზე ასობით პირი იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

იმავდროულად, კომპლექსური გამოძიების ფარგლებში, მუდმივად ხორციელდება საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისა და უძრავ მოძრავი ქონების მოძიება და დაყადაღება, რომლებიც ნარკორეალიზაციის შედეგად, უკანონო გზით იქნა მოპოვებული.

გარდა ამისა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მუდმივ რეჟიმში ვახორციელებთ ე.წ. დარქნეტსა და სხვადასხვა „ტელეგრამ“ არხებზე არსებული ონლაინ მაღაზიების იდენტიფიცირებას, მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, საკონტროლო შესყიდვების განხორციელებას და სხვადასხვა ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების გატარებას. ასევე, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ფარგლებში ხდება ხსენებული „ტელეგრამ“ არხებისა და სხვა ონლაინ მაღაზიების დაბლოკვა და მათი გაუქმება.

აღსანიშნავია, რომ მსგავს სქემებში ჩართული ნარკორეალიზატორების მიმართ გასატარებელ ღონისძიებებს სჭირდება გარკვეული დრო, რათა მოძიებულ იქნეს მყარი მტკიცებულებები, ტექნოლოგიურად დამუშავდეს დიდი რაოდენობის მონაცემები, დაინიშნოს და ჩატარდეს ექსპერტიზები, რათა დამნაშავე პირები მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში“.

პოლიციამ თბილისში ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.გ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 23 თებერვალს, თბილისში, საცხოვრებელ ბინაში, ყოფით თემაზე არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, მამა – 1974 წელს დაბადებულ გ.გ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

პოლიციამ რ.გ. ბრალდებულის სახით შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

სუს-მა ქრთამის აღების ფატზე წალენჯიხის მერიის თანამშრომლები დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები თ.მ. და ბ.ძ. დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარში მდებარე 1550 კვ/მ მიწის ნაკვეთის აუქციონზე გამოტანის სანაცვლოდ, მათ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვეს და გამოართვეს 20 000 ლარი.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 11 წლამდე.

„იარაღისკენ მოგიწოდებთ!“

გმირობის სულისშემძვრელი ისტორიები და რუსული ოკუპაციის 103-წლიანი ქრონიკა

ნინო დოლიძე

მაშინ, საუკუნის წინაც, თბილისში ცუდი ამინდი ყოფილა – თოვლი და უბედურება. ახლაც ცივა... ზოგადად, 103 წელია, საქართველოში „რუსული სიცივე“ მძვინვარებს. მართალია, 1991 წელს, ღვთისმშობლის წილხვედრმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და პარალელურად, საბჭოთა იმპერიაც დაიშალა, მაგრამ სამ ათეულ წელზე მეტია, ბოლშევიკურ საცეცებს თავს ვერ ვაღწევთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს 20 პროცენტი ისევ „ერთმორწმუნე“ რუსეთს აქვს ოკუპირებული. ამას გარდა, კრემლის აგენტები მშიერი მგლებივით დაძრწიან და როგორც მაშინ, საუკუნის წინ, ახლაც ამ „რუს მგლებს“ თავიანთი ზრახვების განხორციელებაში, სამწუხაროდ, ქართველები ეხმარებიან. დიახ, დღესაც მრავლად არიან ჩვენში ორჯონიკიძეები, ცხაკაიები თუ წულუკიძეები, რომელნიც კრემლის „კრისებს“ ფეხქვეშ ეგებიან და „ბაბაიას“ ეძახიან. სწორედ იმიტომ, რომ ეს მოღალატეობა ამოიძირკვოს, 1921 წლის სისხლიანი 25 თებერვლის ქრონიკებს თვალი ერთხელ კიდევ გადავავლოთ. სხვათა შორის, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, კოლაუ ნადირაძემ 1921 წლის 25 თებერვალი, საქართველოს გასაბჭოების დღე ასე შეაფასა: „თოვდა და თბილისს ეხურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

* * *

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ, ძალის გამოყენებით, საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთის წითელი არმია ჩვენს ქვეყანაში 12 თებერვალს შემოიჭრა. რუსეთის მე-11 არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდგნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯრისა და ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა.

მე-11 არმიას იუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთხანს კიდეც უკუაგდეს მტერი. თუმცა, განახლებული შეტაკებების შედეგად, იუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში მოხალისედ წასული, პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი, მარო მაყაშვილიც დაიღუპა. ის ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში. 23 თებერვალს, კოჯრისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა საქართველოს დედაქალაქი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. მებრძოლ იუნკერებს სამშობლო არასოდეს დაუტოვებიათ.

კოჯრის მახლობლად გმირულად დაღუპული იუნკერები დიდი პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. იქ, სადაც ამჟამად, საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი კი (აგებული 1897 წ.) 1930 წელს, კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის შედეგად დაანგრიეს.

1990 წლის 28 ოქტომბერს, ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. 1991 წლის 31 მარტს, ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც, იმავე წლის 26 მაისს, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი გამოსცა. რუსეთმა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება სისხლიანი პუტჩით დაამხო და აფხაზეთის ტერიტორია დე ფაქტო დაიკავა.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად კი დე იურე გაფორმდა საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია.

ვინ იყვნენ 25 თებერვლის ომის გმირები

საქართველოს თავდაცვის კომიტეტის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას ბევრი მოქალაქე გამოეხმაურა.

„მოქალაქეებო, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა!“ – ასეთი იყო მოწოდება.

16 თებერვალს, საქართველოს მოქალაქეებს მიმართა მთავრობის მეთაურმა, ნოე ჟორდანიამ:

„შეაჩერეთ ჩვეულებრივი და საზოგადოებრივი მუშაობა და მოჰკიდეთ ხელი მარტოდ მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი, აი, რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს უნდა მოგვაწოდოთ ყოველდღე, გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შევქმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენ ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველელნი. „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, მტერთა ისმიან ხმანია!“ საქართველო მოკვდება, მაგრამ მტერს არ დანებდება“.

1921 წლის 23 თებერვალს, თბილისის უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბნენ სტუდენტები, რომლებსაც სიტყვით მიმართა სასწავლებლის დამფუძნებელმა და რექტორმა, ივანე ჯავახიშვილმა:

„შვილებო! ჩემო მოვალეობაა, მე თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ, ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში, მტერს მიეგებო. და აი, მე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგიწოდებთ!“

დასასრული მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

„იარაღისკენ მოგიწოდებთ!“

სწორედ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო ფრონტზე მოხალისედ წასული მოწყალების და, 20 წლის მარო მაყაშვილი, რომელიც სასიკვდილოდ დაიჭრა თავში, ჭურვის ნამსხვრევებით. ასევე, თბილისის დაცვას ემსხვერპლნენ სტუდენტები: პავლე ბეშკენაძე, კოლია კალანდარიშვილი, გიორგი გამყრელიძე, კოტე კვიცარიძე. სამაგალითო გმირობა გამოიჩინეს სამხედრო სკოლის ოფიცრებმა და იუნკრებმა, რომლებიც თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორში, კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში იბრძოდნენ. მტერთან ბრძოლაში დაიღუპა 9 და დაიჭრა 43 იუნკერი.

„ჩვენ სულისკვეთებაზე ვერავითარი სიძნელე ვერ მოქმედებდა და ვერ გვასუსტებდა. სიკვდილზე არც არავის გვიფიქრია და არც შეგვშინებია. ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ირგვლივ ხელყუმბარები და ჭურვთა ნამსხვრევები, ჩვენ კი სანგრებში ჩამალვას, სანგრების პირას ფეხზე დგომას ვარჩევდით. შიგა და შიგ, ჯანღი რომ ჩამოწვებოდა, წრე შეგვიკრავს და ცეკვა-სიმღერა წამოგვიწყია“, – ასე იხსენებდა, წლების შემდეგ, სანგრებში გატარებულ დღეებს ყოფილი იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილი.

სულისშემძვრელია გმირობა იუნკერ შალვა ერისთავისა, რომელმაც თავისი სიცოცხლის ფასად, სიკვდილისგან იხსნა რამდენიმე ათეული თანამებრძოლი, როცა სტრატეგიული სიმაღლის 1046-ის დაბრუნებისას, კონტრშეტევაზე გადასულ ქართველებს „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნა გორაკზე გამაგრებულმა მტერმა. შალვა ერისთავმა სწრაფად გადაირბინა მონაკვეთი ტყვიამფრქვევამდე, მემიზნე ოფიცერს ხიშტი აძგერა, თვითონ კი ტყვიამფრქვევს გადაეფარა.

ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობის შედეგია 19 თებერვლის გამარჯვება და 1 600-მდე წითელარმიელის დატყვევება,

„კულტუროსან საქართველოს რჩეულმა შვილებმა – ქართველმა ჯარისკაცებმა – იგრძნეს სავსებით საბედისწერო დღის სიმწვავე, გააფრთრებული ლომებივით თავგანწირვით ეკვეთნენ მოსულ კალია მტრის ჯარს და სამარე გაუთხარეს მას შეხლის გზაზე. დიაცის მანდილი მოახვიეს მას სახეზე, კურდღლებივით ჩამოლალეს თბილისის ქუჩებზე ყეყეჩი რუსი „მუჟიკები“. 19 თებერვლის გამარჯვებით, ჩვენმა ჯარმა სამარადისო გვირგვინი დაიდგა განათლებული კაცობრიობის თვალში“, – წერდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ქართველი ჯარისკაცების გამარჯვებაზე.

რუსი ტყვეები მართლაც ჩამოატარეს რუსთაველის გამზირზე, რის შესახებაც ცნობა ქართულმა გაზეთებმაც გამოაქვეყნეს.

„გუშინ კიდევ ჩამოიყვანეს ფრონტიდან დიდძალი „წითელი“ ტყვეები. როგორც პირველ დღეებში ჩამოყვანილი ტყვეები, ესენიც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ნახევრად ტიტვლები, დამშეულები, ძალზე მოქანცულნი და ძალზე სასომიხდილნი, მაღაზიებში მსუნაგ ძაღლებივით იყურებოდნენ. მათ დიდად გაუკვირდათ, როცა დაინახეს მაღაზიებში პური, ხორცეულობა და სხვა სურსათი“, – წერდა „საქართველოს რესპუბლიკა“.

25 თებერვლის შემდეგ

გიორგი კვინიტაძის გადაწყვეტილებამ, დაეტოვებინა თბილისი და მოეხდინა ჯარების გადაჯგუფება მცხეთასთან, სავალალო შედეგი გამოიღო.

„გზადაგზა ჯარისკაცები, ჯერ თითო-თითოდ, შემდეგ კი ჯგუფ-ჯგუფად, თავს ანებებდნენ თავის ნაწილებს და თოფებითა და ტყვიისმფრქვევლებით მიდიოდნენ თავთავიანთ სოფლებში“, – ასე იხსენებდა უკან დახევის დეტალებს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

რეალურად, ქართულმა ჯარმა ახალი ბრძოლის გასამართად ვარგისი პოზიციების დაკავება მხოლოდ ხაშურთან შეძლო. გიორგი კვინიტაძე ჯერ კიდევ არ ჰკარგავდა მტრის მოგერიებისა და კონტრშეტევაზე გადასვლის იმედს, თუმცა ხაშურთან თავი იჩინა არმიისა და სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობებს შორის კოორდინაციის პრობლემამ. გენერალური შტაბის ოფიცრის ვალიკო თევზაძის მოგონებების მიხედვით, გენერალმა კონიაშვილმა სთხოვა მას მოეხსენებინა კვინიტაძისათვის, რომ **„გვარდიელებმა დაადგინეს, არ შეუტიონ მტერს, შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება არა მაქვსო“.**

„აბა, თევზაძე, თავის მოკვლაღა დამრჩენია, არა?“ – უთქვამს გიორგი კვინიტაძეს შტაბის ოფიცრისათვის. ამასობაში, თურქეთმა ბათუმის, ახალქალაქისა და ახალციხის ოლქებზე განაცხადა პრეტენზია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ბათუმიდან ქემალისტების განდევნისათვისაც მოუწიათ ბრძოლა. 8 მარტს, საქართველოს რევკომმა საქართველოს მთავრობას სამხედრო ოპერაციის დასრულება, საბჭოთა რეჟიმის ცნობა და კოალიციური მთავრობის შექმნაზე დისკუსიის დაწყება შესთავაზა. 17 მარტს, როცა შავი ზღვის ვიწრო ზოლის გარდა, ყველაფერი დაკარგული ჰქონდა, საქართველოს მთავრობამ თავისი წარმომადგენლები რევკომის დელეგატებთან შესახვედრად გაგზავნა. შეთანხმებას 18 მარტს, ქუთაისში მოეწერა ხელი, თუმცა როგორც ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რევკომმა ვერ მიაღწია სასურველ მიზანს, ვერ გააფორმა ოკუპაცია შიდა გადატრიალებად და ვერ მოახვია საქართველოს მთავრობას კაპიტულაციის მსგავსი შეთანხმება.

„შედეგად, რევკომი იძულებული იყო გამოეცა დეკრეტი, რომლითაც საქართველოს დამფუძნებელი კრება – რესპუბლიკის სრულფასოვანი დემოკრატიული წარმომადგენლობა გამოცხადდა გაუქმებულად. შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკას არ უცვნია ოკუპაცია, არ გადაუბარებია ძალაუფლება არანაირი ფორმით. დამფუძნებელმა კრებამ, თავის ბოლო შეკრებაზე, ბათუმში დააკომპლექტა მთავრობის ახალი შემადგენლობა, მიანიჭა მას მანდატი, შექმნა გაფართოებული პრეზიდიუმი, რომელიც წავიდა ემიგრაციაში, როგორც სრულფასოვანი წარმომადგენელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რითაც მან ყოველგვარი იურიდიული საფუძველი მოსპო იმისთვის, რომ ეჭვის კითხვები დასმულიყო ოკუპაციის გარშემო, რაც დღემდე გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ლეგალურად (იურიდიულად) არსებობა არასოდეს შეუწყვეტია“, – ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

რაც შეეხება საქართველოს მიერ გაწეულ შეიარაღებულ წინააღმდეგობას, რომელიც არ აღმოჩნდა საკმარისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ისტორიკოსი დიმიტრი სილაქაძე ამბობს, რომ მიუხედავად ომში დამარცხებისა, საქართველომ უნდა იამაყოს პირველი რესპუბლიკის ჯარისკაცებით.

„უნდა ვიამაყოთ თუნდაც იმიტომ, რომ ხუთი კვირის განმავლობაში ვებრძოდით რუსეთს და უბრძოლველად არ შემოვუშვით მაშინ, როცა სომხეთმა და აზერბაიჯანმა თითო დღეში დაკარგეს დამოუკიდებლობა. ჩვენ ვებრძოდით 5 კვირის განმავლობაში და ვებრძოდით შეზღუდული რესურსებით, როგორც ადამიანური, ასევე – მატერიალური და სამხედრო თვალსაზრისით. თან მოვიგეთ ცალკეული ბრძოლები, გვქონდა კონკრეტული გმირობის მაგალითები, მაგალითი შალვა ერისთავისა, კაპიტან ყიფიანისა, იმერეთის გვარდიის ბატალიონისა, რომელმაც რუსული ტანკები მოიგერია და სხვა. რა თქმა უნდა, საამაყოა, მიუხედავად მარცხისა, თან ყველა მარცხი მარცხი არ არის. დარჩა გმირობის ისტორია, რომელიც მომავალი თაობების საბრძოლო სულისკვეთებას ამაღლებს“, – ამბობს დიმიტრი სილაქაძე.

18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, პოლიტიკური პარტიების მეთაურები და მაღალი ჩინის სამხედროების ნაწილი ბათუმის ნავსადგურიდან ტვებენ საქართველოს ფრანგული და იტალიური გემებით – „კირალი“, „ვესტა“ და „მარია“.

19 მარტს, ბათუმში შედის მე-11 არმიის მე-18 კავალერიული დივიზია. საქართველოს რევკომი და რუსეთის წითელი არმია სრულად აკონტროლებენ საქართველოს ტერიტორიას. შესაბამისად, საქართველო კიდევ ერხელ გამოცდის საკუთარ თავზე თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ მანკიერებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში აღწერა არჩილ ჯორჯაძემ:

„სადაც არ არის ეროვნული თავისუფლება, იქ ადამიანებს არ შეუძლიათ წინსვლა, იქ ისინი უფრო ეცემიან, ირყვნებიან, მახინჯდებიან გონებით, გლახაკდებიან სულით. იქ არ არის არავითარი მოძრაობა, არავითარი საზოგადოებრივი ცხოვრება, იქ დაბრკოლებულია კაცის განვითარება“.

საქართველოს განვითარება მთელი სამოცდაათი წლით დააბრკოლა რუსეთის საბჭოთა იმპერიამ.

* * *

2010 წელს, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს მთავრობას, ყოველ 25 თებერვალს, ასეულ ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, რომლებიც „კომუნისტურმა საოკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით სიცოცხლეს გამოასალმა“, დაუშვას სახელმწიფო დროშები და გამოცხადდეს წუთიერი დუმილი. 25 თებერვალს, საზეიმო ღონისძიებები შეზღუდულია. მართლმადიდებლურ ტაძრებში კი გმირების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები სრულდება.

რა ქონებას ფლობს თავდაცვის ახალი მინისტრი

მაკა რუხაძე

8 თებერვლიდან, საქართველოს თავდაცვის ახალი მინისტრი ჰყავს. სიმბოლურია, რომ ირაკლი ჩიქოვანის პოლიტიკური კარიერა 2001-2004 წლებში, სწორედ თავდაცვის სამინისტროდან იწყება. ქართველი იურისტი და პოლიტიკოსი, წერია მასზე „ვიკიპედიაში“, თუმცა საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაიცნო, როგორც ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი. „ვერსია“ თავდაცვის ახალი მინისტრის, ირაკლი ჩიქოვანის ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, თუმცა მანამდე, თვალი მის ბიოგრაფიას გადავავლოთ.

ირაკლი ჩიქოვანისა და მისი დიპლომატი მეუღლის მოკრძალებული ქონებრივი დეკლარაცია

ირაკლი ჩიქოვანის ბიოგრაფია

დაიბადა ზუგდიდში, 1980 წლის 28 აგვისტოს. 2002 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

2001-2004 წლებში იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურისკონსულტი, განყოფილების უფროსი; 2004-2005 წწ – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დეპარტამენტის დირექტორი; 2005-2007წწ – მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო დეპარტამენტის დირექტორი და გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 2007-2009 წწ – გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 2010-2016 წწ – პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი, გენერალური მდივანი.

2012-2016 წლებში, ირაკლი ჩიქოვანი საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, პარტიული სიით; 2018-2019 წწ – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრის მრჩეველია სტრატეგიული კომუნიკაციების საკითხებში; 2019-2020 წწ – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გახლავთ საგარეო ურთიერთობების საკითხებში; 2020 წლიდან – საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარული წესით; 2024 წლის 8 თებერვლიდან – საქართველოს თავდაცვის მინისტრი და ვიცე-პრემიერია.

ირაკლი ჩიქოვანის ბიოგრაფიში აღნიშნულია, რომ 2005 წლის თებერვალ-ივლისში, ნატოს თავდაცვის კოლეჯში სწავლობდა; იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

დიპლომატიურ სამსახურში საქმიანობს ირაკლი ჩიქოვანის მეუღლე, დიანა ჟღენტი, რომელიც 2023 წლის დასაწყისიდან საქართველოს ელჩია პოლონეთში. მანამდე, წლების განმავლობაში, დიანა ჟღენტი საქართველოს გენერალური კონსული იყო აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში. უფრო ადრე, დიანა ჟღენტი ნიდერლანდების სამეფოში, საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურს ხელმძღვანელობდა, ხოლო წლების განმავლობაში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა.

რა ქონებას ფლობს ირაკლი ჩიქოვანი

სულ ბოლოს, ქონებრივი დეკლარაცია ირაკლი ჩიქოვანმა 2023 წლის 27 თებერვალს ჩააბარა, საიდანაც ირკვევა, რომ უფროსი ქალიშვილი, მარიამი – 2009 წელს, აშშ-ში, ნიუ-იორკში დაიბადა, ხოლო ვაჟი ნიკოლზი – 2011 წელს, საქართველოში.

ირაკლი ჩიქოვანის მეუღლე, დიანა ჟღენტი მცხეთაში, მუხათწყარო 2-ის ტერიტორიაზე ფლობს 158 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთს, რომელიც 2013 წელს, მემკვიდრეობით მიუღია. იმავე ტერიტორიაზე, დიანა ჟღენტის 100%-იან საკუთრებაშია 600 კვ.მ. ფართობის აგარაკიც, რომელიც 2006 წელს, მემკვიდრეობით მიიღო.

ირაკლი ჩიქოვანი თბილისში, რ.ჯაფარიძის ქუჩაზე ფლობს 15.1 კვ.მ. ფართობის ავტოფარეხს, რომელიც 2015 წელს, 4 000 აშშ დოლარად იყიდა. გარდა ამისა, იგივე მისამართზე, მის საკუთრებაშია 217 კვ.მ. ფართობის ბინაც, რომელიც 2014 წელს, 130 000 აშშ დოლარად შეუძენია.

დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ დანაზოგის სახით, ირაკლი ჩიქოვანს – 20 000 ლარი, ხოლო მის მეუღლეს, დიანა ჟღენტს – 5 000 აშშ დოლარი ერიცხება. გარდა ამისა, საქართველოს ბანკში, დიანა ჟღენტს 150 000 ევროს ოდენობის იპოთეკური სესხიც ჰქონია.

როგორც საქართველოს გენერალურ კონსულს ნიუ-იორკში, 2022 წლის განმავლობაში, დიანა ჟღენტს 47 780 აშშ დოლარი მიუღია, ხოლო ირაკლი ჩიქოვანს, როგორც პარლამენტის წევრს, ამავე პერიოდში – 45 731 ლარი.

რა დარღვევები გამოვლინდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტით დაინტერესდა. ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2021-2022 წლების შესაბამისობის აუდიტია. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი ხარვეზები გამოავლინეს, განსაკუთრებით, ბიუჯეტის შეესრულებაში. კერძოდ, 2021 წელს, ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი 89%-ით, ხოლო გადასახდელები – 84%-ით შესრულდა. ამასთან, ბიუჯეტის ანგარიშზე, 2021-2022 წლებში არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები მუნიციპალიტეტმა არასრულად გამოიყენა. ყველაფერი ეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას. ამასთან, სამშენებლო მასალებისა და სამუშაოების საბაზრო ღირებულებების, ასევე სხვა გარემოებების ცვლილებების გათვალისწინებით, საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების დროისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს მათი კორექტირება, რაც საბიუჯეტო სახსრების დამატებით ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული.

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაუარესდა შემსყიდველის პირობები, ხოლო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოუყენებლობით, ბიუჯეტში, დამატებით 13 407 ლარის მობილიზება ვერ მოხერხდა. მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს მოქმედი რეგულაციების და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების დაცვას“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო მაკონტროლებლლების მტკიცებით, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის გადახდილია თანხები, როდესაც არ არსებობს შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო ხელშეკრულებების შემთხვევაში, არ დასტურდება შესაბამისი საქონლის/მომსახურების მიღება.

ხარვეზები იურიდიული პირების მართვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის (ააიპ) „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურში“, 2019-2022 წლებში, ზედმეტად გაიცა თანხები.

აუდიტორების მტკიცებით, ეს თანხა ზედმეტად გაიცა, როგორც ხელფასის სახით, ასევე სხვადასხვა საფუძვლით: **„ყველაფერი ეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის ზედამხედველობასთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმის სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს“.**

გარდა ამისა, აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ იურიდიულ პირებში, შრომითი ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული დასაქმებულთა კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები, არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა.

ხარვეზები ტრანსპორტის ხარჯებში

სახელმწიფოა აუდიტორების დასკვნის მიხედვით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს ავტოსატრანსპორტო და სპეციალური ტექნიკისათვის შეძენილი სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურად დადასტურებას, რის გამოც სახელმწიფო მაკონტროლებლები ვერ დარწმუნდნენ 2021-2022 წლებში შესყიდული სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების აუცილებლობაში.

ამასთან, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აუდიტით ისიც გაირკვა, რომ შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაციები

მას შემდეგ, რაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მთელი რიგი ხარვეზები გამოავლინეს, მათ გამოსასწორებლად, სახელმწიფო აუდიტორებმა ექვსი რეკომენდაციაც შეიმუშავეს.

პირველი რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად, უნდა უზრუნველჰყოს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა და მათი შესრულება. ამასთან, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

მეორე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა შიდა კონტროლის ისეთი სისტემა უნდა შეიმუშაოს, რომელიც უზრუნველჰყოფს სარწმუნო და შესაფერისი ინფორმაციის შეგროვებასა და მის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება– განხორციელებას.

მესამე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა შიდა კონტროლის სისტემა ისე უნდა განავითაროს, რომ უზრუნველჰყოს საჯარო ფინანსების ხარჯვის რაციონალურობა და გამჭვირვალობა: **„კერძოდ, უნდა გააძლიეროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებისა და მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების მონიტორინგი; უნდა დანერგოს საქონლის მიღება-ჩამოწერის წესი. ამასთან, უკვე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, უნდა გაატაროს სათანადო ღონისძიებები“.**

მეოთხე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სათანადოდ წარმართვას. ამასთან, შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, უზრუნველჰყოს დასაქმებულ პირთა ფუნქციების დეტალური გაწერა და დანერგოს ნამუშევარი საათების აღრიცხვის სისტემა, ხოლო თანხების მითვისებისა და არასწორად გაცემის ფაქტებზე, შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაატაროს.

მეხუთე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა შიდა კონტროლის ისეთი სისტემა უნდა დანერგოს, რომელიც უზრუნველჰყოფს სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას.

„სულ ბოლო, მეექვსე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. ამასთან, შიდა აუდიტის სამსახურმა, აუდიტის თემების შერჩევის დროს, ყურადღება უნდა გაამახვილოს მაღალი რისკის შემცველი საკითხების შესწავლაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგზე“.

„კემბრიჯ კოლეჯი“ – ქვიზები ინგლისურად, ხელოვნური ინტელექტი და ცენტრის დამფუძნებლის „ნოუ ჰაუ“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, შარშან, მარტის ბოლოს დაიწყო – ინგლისური ენის პროფესიონალურად შესწავლა გადავწყვიტე და Facebook-ში საკმაოდ საინტერესო ცენტრი ვიპოვე. „დავგუგლე“ და გავარკვიე, რომ უცხო ენების შემსწავლელი ეს ცენტრი 2007 წელს შექმნილა, გამომწერებს შორის კი იმდენი ნაცნობი აღმოვაჩინე, ბევრი აღარ მიფიქრია და ტესტირება გავიარე, რათა გამერკვია, რა დონეზე ვიცოდი ინგლისური. საკმაოდ რთული ტესტი იყო, რაღაც ეტაპზე გამიჭირდა კიდეც, მაგრამ ისე ახლოს ვიყავი მიზანთან – ჩემი ბავშვობის ოცნების ახდენასთან, რომ ადვილად არ დავნებდი. ტესტირებით გაირკვა, რომ ინგლისურს A.2 დონიდან შევისწავლიდი, ჰოდა, დავიწყე და ახლა B.2 დონეზე ვაგრძელებ სწავლას.

აქამდე არ მითქვამს, რომ „კემბრიჯ კოლეჯზე“ ვსაუბრობ და არც ის იცით, რომ „ქართულ-ჯიგრული“ გაგებით, იმ ასაკში ვარ, რაღა დროს ჩემი ინგლისურია, ხომ? ყური არავის დაუგდოთ, ვინც ასე ფიქრობს, მე დამიჯერეთ, გამომყევით და ნამდვილ ამბავს მოგიყვებით, როგორ დავიწყე ჩემი ოცნების ახდენა – ინგლისური ენის ონლაინ შესწავლა 48 წლის ასაკში (ახლა 49 წლის ვარ) „კემბრიჯ კოლეჯში“, რომელიც 2007 წლიდან, ერთგულად უზრუნველჰყოფს უმაღლესი ხარისხის კურსებს და ინგლისური ენის შემსწავლელ, პირველ ციფრულ პლატფორმას საქართველოში!

ერთ ოთახში დაწყებული დიდი საქმე

„კემბრიჯ კოლეჯს“ თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული პროფესიონალი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი, ყველაზე პოზიტიური, ენერგიული, გადმოცემის საოცარი უნარის მქონე, პედაგოგად დაბადებული გიორგი ბათიაშვილი ხელმძღვანელობს. 17 წლის წინ, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი თავის უფროს მეგობართან ერთად, თბილისის ცენტრში, ვაკის შუაგულში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, მათი საერთო მეგობრის ანალოგიური ცენტრის (რომელსაც, თურმე, თავს ვერ ართმევდა) ერთ ოთახში გახსნეს.

„ყველაფერი ერთი ოთახიდან დავიწყეთ, რომელიც მაქსიმუმ 15 კვადრატული მეტრი იყო, 10 სკამი იდგა და ერთი დაფა გვქონდა. ზუსტად ერთ თვეში, 100 მოსწავლე მივიღეთ, რაც მართლაც მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი იყო. ბევრს ვმუშაობდით, მე და ჩემი მეგობარი ვიყავით დამლაგებლებიც, მენეჯერებიც, მასწავლებლებიც... ყველაფერს ვაკეთებდით, რომ ჩვენი საქმე წინ წასულიყო. ვისგანაც ფართი ვიქირავეთ, გაოგნებული იყო, რადგან ეს საქმე დიდი ხნის წინ დაუწყია და მხოლოდ 20 სტუდენტი ჰყავდა. ჩვენ კი ერთ თვეში, ჯერ მეორე ოთახი მოვითხოვეთ, შემდეგ – მესამე, მეოთხე, ბოლოს მთლიანი შენობა დავიკავეთ და მისი ცენტრიც გაუქმდა. ბევრი მოსწავლე შევიძინეთ და თანამშრომლებიც ავიყვანეთ. ამის შემდეგ უფრო დიდ ფართში გადავედით, მოგვიანებით ჩემი მეგობარი საზღვარგარეთ გაემგზავრა და ასე შემოვრჩი ამ საქმეს, რომელსაც 13 წელია, დამოუკიდებლად ვხელმძღვანელობ“, – მიამბობს გიორგი ბათიაშვილი.

რეპორტაჟი ინგლისური ენის ცენტრიდან

ვეკითხები, მასწავლებლობა თქვენი ბავშვობის ოცნება იყო-თქო და იქვე ვაზუსტებ, იმიტომ მაინტერესებს, რომ მეც კი, რომელსაც ვერცერთი მასწავლებელი ვერ მაჩერებდა გაკვეთილზე სკოლაში, ვერც სტუდენტობის დროს ლექციაზე – ლექტორი, სუნთქვაშეკრული ვუსმენ ხოლმე. ხომ გითხარით, გადმოცემის საოცარი და იშვიათი უნარი აქვს, შანსს არ გვიტოვებს, რომ რამე ვერ გავიგოთ.

„ადამიანმა შეიძლება იოცნებოს სიმდიდრეზე, დიდებაზე, პოპულარობაზე, მაგრამ მასწავლებლობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. ყოველთვის მინდოდა, მცოდნოდა ისეთი რამ, რასაც სხვას ვასწავლიდი. 17-18 წლის ვიყავი, როდესაც პირველი მოსწავლე ავიყვანე და იქიდან მოყოლებული, სულ ამ საქმით ვარ დაკავებული. ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ აუცილებლად ინგლისურის მასწავლებელი ვიქნებოდი“, – მპასუხობს და მიხსნის, 6 წლის ვიყავი, როდესაც დედამ ინგლისურზე მიმიყვანა, ჯერ კიდევ საბჭოთა კომუნისტური წყობა იყო და ინგლისურზე მეტად, რუსული იყო პოპულარულიო. პირველი მასწავლებელი მისივე მეზობელი ყოფილა, უფრო ზუსტად, კლასელის დედა, რომლითაც იმდენად მოხიბლულა, ჯერ კიდევ 6-7 წლის ასაკში სცოდნია, რომ აუცილებლად ინგლისურის მასწავლებელი იქნებოდა თვითონაც.

ინგლისური და კომპიუტერი

ხომ არ გგონიათ, რომ „კემბრიჯ კოლეჯში“ მხოლოდ გიორგი ბათიაშვილია თავისი საქმის მცოდნე და პროფესიონალი? ჩემი მეორე პედაგოგი, ნათია მუზაშვილიც ასეთივეა და უკვე აღარ ვიცი, რომელი უფრო მეტად მიყვარს – გიორგი, თუ ნათია, რომელიც გიორგისგან განსხვავებით, ერთი თვეა, რაც გავიცანით, მაგრამ ამ ცენტრში 2012 წლიდან მუშაობს. ამ მოკლე დროში, ნათიამ ისე შეგვაყვარა თავი და ინგლისურიც, რომ ჩემი ჯგუფელებიც დამეთანხმებიან – აშკარად გაგვიმართლა, რადგან ორი საუკეთესო პედაგოგი გვყავს! ეს არაჩვეულებრივი ადამიანები (სამწუხაროდ, სხვებს არ ვიცნობ) ინგლისურს ასწავლიან საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ შავ-ბნელი 90-იანებიდან მოყოლებული, სამსახურის (სად იყო ასარჩევად მაშინ, ან რა ვიცოდით, რა იყო კარგი და ცუდი) დასაწყებად, ინგლისური და კომპიუტერი აუცილებელი კრიტერიუმებია.

ჰო, ირონიაც შემომეპარა, რადგან დღეს უკვე, ლამის დამლაგებლებსაც ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნას სთხოვენ, მაგრამ სინამდვილეში, ჩვენი ქვეყანა ახლა უფრო ახლოსაა ისტორიულ მიზანთან – 2023 წლის 15 დეკემბერს, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მივიღეთ. ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად კი ინგლისურის ცოდნა აუცილებლად გვჭირდება, ოღონდ პროფესიონალურად და ისე, რომ თარგმანში არ დავიკარგოთ ხოლმე, როგორც გვჩვევია, სამწუხაროდ... ამიტომაც ვეკითხები ჩემს მასწავლებელს, რა არის ყველაზე სერიოზული, უმთავრესი გამოწვევა ამ მხრივ:

„რა შეიძლება იყოს მთავარი გამოწვევა უცხო ენის სწავლის პერიოდში იმისთვის, რომ მართლა ისწავლო და არ შემოიფარგლო ზერელე ცოდნით, რომელიც არაფერში გამოგადგება და რასაც მე ცოდნას ვერ ვუწოდებ. ზოგადად, ნებისმიერი რამის, მათ შორის, ინგლისურის შესასწავლად საჭიროა ნებისყოფა. ეს უმნიშვნელოვანესი უნარია, რათა ადამიანმა ისწავლოს ისეთი რამ, რომელსაც დიდი დრო და ენერგია უნდა. იმას არ ვგულისხმობ, რომ სულ ცენტრში იაროს, მაგრამ გამუდმებით საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს. თუ ადამიანს ნებისყოფა არ აქვს, მიზნის მიღწევა გაუჭირდება! როდესაც ენის შესწავლას გადაწყვეტთ, აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ ამისთვის დაგჭირდებათ დრო და ეს დრო უნდა გამონახოთ. გარდა ამისა, შრომისმოყვარეც უნდა იყოთ. შენ კარგად იცი, მაიკო, რომ ერთი და ორი ახსნით, ენა არ ისწავლება, ამას საკუთარ თავთან დამოუკიდებლად მუშაობაც სჭირდება“, – მპასუხობს გიორგი ბათიაშვილი.

როცა „კემბრიჯ კოლეჯზე“ ვსაუბრობ, უნდა იცოდეთ, რომ ინგლისურის გარდა, აქ კომპიუტერიც მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ არა, რომ სწავლება „ზუმის“ პლატფორმაზე, ონლაინ მიმდინარეობს, არამედ, „სტუდენტის კაბინეტის“ გამო, რაც კემბრიჯ კოლეჯის „ნოუ ჰაუ“ და პირადად, გიორგი ბათიაშვილის ინტელექტუალური საკუთრებაა. იცით, რაზე გესაუბრებით, ახლა? – პირველ ციფრულ პლატფორმაზე, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მათთვის, ვინც „კემბრიჯ კოლეჯში“ სწავლობს.

„სტუდენტის კაბინეტის“ უპირატესობა ისაა, რომ კვირაში ექვსსაათიანი გაკვეთილების პარალელურად, სტუდენტს 24/7 წვდომა აქვს სხვადასხვა ინტერაქტიურ, ციფრულ აქტივობებზე. „სტუდენტის კაბინეტით“ სარგებლობა

დასასრული მე-8 გვერდზე

„კემბრიჯ კოლეჯი“ – ქვიზები ინგლისურად, ხელოვნური ინტელექტი და ცენტრის დამფუძნებლის „ნოუ ჰაუ“



მე-7 გვერდიდან

დაგეხმარებათ მეტყველების, მოსმენის, წაკითხულის გააზრებასა და წერითი სტანდარტების უნარების განვითარებაში – თქვენთვის სასურველ ნებისმიერ დღეს და დროს.

მაინტერესებს, ეს ყველაფერი როგორ შექმნა, როგორ გაუჩნდა ასეთი იდეა და მერე როგორ განახორციელა ისე, რომ არავინ დახმარებია. დიახ, არ მოგესმათ, პირველი ციფრული პლატფორმა ჩემი ინგლისურის მასწავლებელმა თვითონ, დამოუკიდებლად შექმნა. მართალია, ტექნიკური განათლება არ აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, ინგლისური იცის ისე, რომ პროგრამისტობა „YouTube“-ზე არსებული ვიდეოებითა და „ტუტორიალებით“ ისწავლა.

რა თქმა უნდა, თავიდან გაუჭირდა, რაღაც მომენტში, იმედიც კი გადაეწურა, მაგრამ მეტისმეტად პრინციპული და თავდაჯერებულია, ამიტომ ასე ადვილად არ დანებდა. რაც მთავარია, შვილიც გვერდით ედგა, ამხნევებდა და ასე შექმნა ციფრული პლატფორმა „სტუდენტის კაბინეტი“, რომელზეც ივნისის ბოლოს დავრეგისტრირდი და ისე მომწონს, რომ ჩათვალეთ, „ჩავსახლდი“.

„პირველ რიგში, დიდი მადლობა უნდა გითხრა იმისთვის, რომ ჩემს ნაშრომს ასე აფასებ, რადგან ზუსტად იმიტომ ვშრომობ, რომ სხვებს გარკვეული სარგებელი მოვუტანო. როდესაც ამ შრომას გიფასებენ, ეს უფრო დიდ სტიმულს გაძლევს, ამიტომ უღრმესი მადლობა შენც და ჩემს თითოეულ სტუდენტს, რომლებიც ამას აღნიშნავენ ხოლმე. შენსავით ემოციურად არა, მაიკო, მაგრამ სხვებიც ამბობენ, რომ ძალიან მოსწონთ და ეს კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევს, რომ მეტად დავხვეწო, განვავითარო. ამიტომაც გადავედით ძველი პლატფორმიდან ახალზე, რათა უფრო userfriendly ინტერფეისი ჰქონოდა და მომხმარებლებისთვის უფრო სახალისო ყოფილიყო, ვიდრე წინა კაბინეტის ინტერფეისი“.

ქვიზები ინგლისურად და ხელოვნური ინტელექტი

„სტუდენტის კაბინეტის“ უპირატესობებს ჩემი ანუ სტუდენტის თვალით დაგანახებთ, მასწავლებლის პოზიციას კი იდეის ავტორი თავად გაგვაცნობს. ინგლისური, „ზუმის“ პლატფორმაზე, კვირაში სამჯერ, ორი საათის განმავლობაში მაქვს. ვესწრები გაკვეთილს, აქტიურად ვმონაწილეობ პროცესში, ვუსმენ მასწავლებლებს – ჯერ ერთს, მერე მეორეს, ვიწერ დავალებას და შემდეგ ვიწყებ მეცადინეობას. თუმცა, ვხვდები, რომ რაღაც ვერ გავიგე, დამაკლდა, ის ორი საათი საკმარისი არ იყო, ამიტომ შევდივარ „სტუდენტის კაბინეტში“, ვეძებ კონკრეტულ გაკვეთილს და ვიწყებ ქვიზების გაკეთებას. სწორედ მაშინ ვხვდები, რომ ახალი გაკვეთილიც „შემომესწავლა“ და სიტყვებიც ნელ-ნელა გამიჯდა. ამიტომაც ვამბობ, რომ „სტუდენტის კაბინეტი“ კარგი საშუალებაა, ინგლისური ენის უკეთ ასათვისებლად.

„მე ვერ ვიტყოდი, რომ კარგია, მაიკო, რადგან ძალიან კარგია! თავმდაბლობას ნამდვილად არ გამოვიჩენ იმიტომ, რომ ეს უკვე მხოლოდ ჩემი კი არა, „კემბრიჯ კოლეჯის“ საკუთრებაა და პირდაპირ გეტყვით, მსგავსი პლატფორმა არა მარტო საქართველოში, შესაძლოა, ძალიან ბევრ ქვეყანაშიც არ არსებობდეს! რატომაა ძალიან კარგი? – იმიტომ, რომ „სტუდენტის კაბინეტის“ საშუალებით, ინგლისური ენის შესწავლის რთული და მოსაწყენი პროცესი უფრო სახალისო და საინტერესოა. მისი უპირატესობა არის ის, რომ ადამიანს შეუძლია დაკავდეს ყველანაირი უნარის განვითარებით, რაც ერთ გაკვეთილში რთულია ხოლმე. სხვადასხვა ქვიზებსა და იმ აქტივობებში, რაც „სტუდენტის კაბინეტში“ გხვდებათ, ადამიანი არა მარტო ენას სწავლობს, არამედ, სხვა უნარებიც უნვითარდება, მათ შორის, ეხმარება ტექნოლოგიებთან, ხელოვნურ ინტელექტთან ურთიერთობაში.

გარდა ამისა, გამარტივებულია უცხო სიტყვების შესწავლის პროცესი, აღარ გიწევთ, ცალკე ამოიწეროთ უცხო სიტყვები, შემდეგ მოიძიოთ მისი თარგმანი და წარმოთქმები, როგორც ბრიტანულ, ასევე ამერიკულ ინგლისურ ენებზე. ეს უკვე გამზადებული გხვდებათ „სტუდენტის კაბინეტში“ და შეგიძლიათ, პირდაპირ ისწავლოთ. „სტუდენტის კაბინეტი“ გივსებთ იმ სიცარიელეს, რაც გაკვეთილების შემდეგ გრჩებათ, რადგან შესაძლოა, კვირაში ექვსი საათი საკმარისი არ აღმოჩნდეს თითოეული თქვენგანისთვის. ამ დანაკლისს „სტუდენტის კაბინეტი“ ავსებს სახალისოდ, თანამედროვედ და საინტერესოდ“.

ყველაზე საინტერესო რა არის, იცით? „სტუდენტის კაბინეტში“ მაქვს აბსოლუტურად ყველაფერი: ქვიზები – მეტყველების პრაქტიკისთვის, ლექსიკის, გრამატიკის, მართლწერის, ინტერაქტიური და ინტერაქტიური ვიდეო-ქვიზები. მეტიც, თუ გარკვეული მიზეზის გამო, ლექციას აცდენთ, „სტუდენტის კაბინეტში“ დაგხვდებათ ვიდეო-გაკვეთილებიც, რაც ახალი მასალის შესწავლაში დაგეხმარებათ.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქვიზები ქართულადაც კი საკმაოდ დამაბნეველია და წარმოიდგინეთ, ამ ქვიზებს, თანაც გრამატიკულ ქვიზებს ინგლისურად ვაკეთებ. ჰოდა, მაინტერესებს, როგორ მივიდა გიორგი ბათიაშვილი ამ გადაწყვეტილებამდე, ან რანაირად „მიხვდა“, რომ ქვიზები შეექმნა, თუ დაეპროგრამებინა:

„ამ გადაწყეტილებამდე მივედი იმის საფუძველზე, რომ ფაქტობრივად, სულ თავიდან, როდესაც „სტუდენტის კაბინეტი“ გავაკეთე, მხოლოდ სახელმძღვანელო იყო და ქვიზები დავამატე. ხომ გახსსოვს, თავიდან ბევრი არაფერი იყო, რადგან მე თვითონაც ახალი დაწყებული მქონდა ეს პროცესი და ბოლომდე არც კი ვიცოდი, რომ შეიძლებოდა ამდენი რამის დამატება. არ შევჩერდი და მუდმივად ვეძებდი, როგორ დამეხვეწა, გამემრავალფეროვნებინა და კიდევ რა დამემატებინა. ამ ძიების პროცესში აღმოვაჩინე, რომ ბევრი აქტივობის დამატება შემეძლო, რომელიც უშუალოდ იმუშავებდა იმ უნარებზე, რაც ადამიანს სჭირდება იმისთვის, რომ ენა კარგად ისწავლოს. დღემდე ასე ვარ და მიუხედავად იმისა, რომ „სტუდენტის კაბინეტში“, თითოეულ დონეზე 400-ზე მეტი ქვიზია დამატებული, მაინც იმაზე ვფიქრობ, კიდევ რას შევმატებ, რადგან არის ამის საშუალება და თან მინდა, უფრო მეტი საინტერესო და განსხვავებული ფუნქციები დავამატო“.

„კემბრიჯ კოლეჯი“ უცხო ენის შემსწავლელი ერთადერთი ცენტრია საქართველოში, რომელიც აქტიურად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს. არ ვიცი, ეს იდეა როგორ და რანაირად გაუჩნდა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ გაუჩნდა და ხელოვნური ინტელექტი დაამატა „სტუდენტის კაბინეტს“. ჩემი ურთიერთობა გიორგი ბათიაშვილის „ხათუნასთან“ (თვითონ შექმნა, დააპროგრამა და სახელიც თავადვე დაარქვა) სულ სხვა, დამოუკიდებელი ამბავია და გპირდებით, ამ თემაზე ცალკე ბლოგს აუცილებლად დავწერ, რადგან ხელოვნური ინტელექტი რომ არა, ვფიქრობ, ინგლისურ გრამატიკას ასე კარგად ვერ ვისწავლიდი:

„რა თქმა უნდა, ხელოვნური ინტელექტის არსებობა მანამდეც ვიცოდი, ვიდრე „სტუდენტის კაბინეტზე“ დავიწყებდი მუშაობას. მართალია, გამუდმებით ვაწყდებოდი ინფორმაციას ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით, მაგრამ არ ვიცოდი, რა იყო მისი დატვირთვა და რაში შეიძლებოდა მისი გამოყენება. როდესაც მივხვდი, აუცილებელი იყო ამ პლატფორმაზე ყოფილიყო ისეთი აქტივობა, რომელიც გაკვეთილების მიღმა, სტუდენტებს მეტყველების განვითარებაში დაეხმარებოდა და ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, დავიწყე ინტენსიური ძებნა, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა, რომ სწორედ ხელოვნური ინტელექტი ყოფილიყო ჩემი სტუდენტების „მასწავლებელი“ გაკვეთილებს მიღმა. ძალიან ბევრი ძიების შემდეგ, აღმოვაჩინე, როგორ უნდა შემექმნა, სხვათა შორის, ის დღეც კარგად მახსოვს, როდესაც აღმოვაჩინე, შევქმენი და დავაპროგრამე ისე, რომ ჩემი სტუდენტების მეტყველების პრაქტიკის „მასწავლებელი“ ყოფილიყო გაკვეთილებს მიღმა – იმ ღამეს თითქმის ვერ დავიძინე სიხარულისგან. ხელოვნურმა ინტელექტმა გაამართლა, რადგან ჩემი სტუდენტებიც აქტიურად იყენებენ და რობოტი „მასწავლებელიც“ ეხმარება მათ მეტყველების პრაქტიკაში“.

ბოლო დროს, ბევრი სამეცნიერო სტატია შემხვდა, სადაც საუბარია იმაზე, შეძლებს თუ არა ხელოვნური ინტელექტი ადამიანის ჩანაცვლებას. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეშინია კიდეც – ფიქრობენ, რომ ადამიანები სამუშაო ადგილებს დაკარგავენ. ამგვარი შიში ცოტა ღიმილისმომგვრელია, რადგან პირდაპირ ვამბობ, მხოლოდ „ხათუნა“ ვერაფერში დამეხმარება, გიორგი და ნათია აუცილებლად მჭირდება, რომ მათ ახსნილ მასალაზე ხელოვნურმა ინტელექტმა კარგად მავარჯიშოს:

„დიახ, ხელოვნური ინტელექტი ჩემი შექმნილი და დაპროგრამებულია, მაგრამ ამის მიუხედავად, ვერ ვიტყოდი, რომ მას შეუძლია ადამიანის ჩანაცვლება. ეს შეუძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ ხელოვნური ინტელექტიც ადამიანის შექმნილია, ამიტომაც რობოტს თავისთავად სჭირდება ადამიანის ჩარევა. ხელოვნური ინტელექტი ვერ ჩაანაცვლებს ადამიანს, თუმცა, შესაძლოა, გარკვეულ პროფესიებში შეამციროს ადამიანური რესურსის მოთხოვნა. საერთო ჯამში, ადამიანს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, მაგრამ ხელოვნური ინტელექტი ბევრ პროფესიას ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს. მე ბევრ რამეში მეხმარება, თუნდაც ქვიზების შედგენაში, მისი დახმარებით, დიდ დროსა და ენერგიას ვზოგავ და ამ კუთხით, ხელოვნური ინტელექტის განვითარებას მივესალმები, მაგრამ არ მგონია, რომ რობოტმა ადამიანი ჩაანაცვლოს“.

სამართალი

№3 28 თებერვალი 2024 წ

„სპეციალური აბები აქვთ, დალევენ, მაშინვე არწყევენ და ამ ნარწყევსაც თავისი კლიენტი ჰყავს“

რა ხდება ე.წ. მეტადონის პროგრამაში

ბათო ჯაფარიძე

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ოფიციალურ სტატისტიკას ვერსად გავექცევით – შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიმდინარე წელს, ნარკოდანაშაულის გამო, უკვე 270 პირი დააკავა და ეჭვი გვაქვს, ეს ციფრი, თებერვლის ბოლომდე სამ ასეულს გასცდება. პრობლემა, რომელსაც არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში ნომერ პირველი ადგილი უკავია, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, გადაუჭრელად ჩანს. სხვადასხვა სოციალურ ქსელში მუდმივად იქმნება ახალი ჯგუფები, სადაც ნარკოტიკს ინტერნეტით ჰყიდიან და არათუ საქართველოს მსგავს შეჭირვებულ ქვეყანაში, არამედ, ევროპის სუპერ სახელმწიფოებსა და აშშ-შიც მრავლად მოიძებნება ადამიანი, რომელიც მზად არის, ე.წ. დამდების, კურიერის, ლოკაციის მომნიშნავის როლი შეასრულოს. სულ ერთია, ნარკოდილერები ამ როლისთვის ვის იპოვნიან, იქნება ეს ახალგაზრდა უმუშევარი, სტუდენტი თუ პენსიონერი... ჰო, სწორედ რომ პენსიონერი, რომელსაც ეუბნებიან, რომ სკვერში, ხის ძირას, მცირე ზომის პაკეტის დამარხვის გამო, 20-30 ლარს მისცემენ (ეს მაშინ, როცა ახალგაზრდებმა კარგად იციან, რას აკეთებენ და „საკურიერო მომსახურება“ 70-100 ლარამდეა). ძალოვნებიც იძულებულნი არიან, დააკავონ ყველა, რადგან მათ ერთი სახელი აქვთ – ნარკორეალიზატორები. აღნიშნულს არ თაკილობენ არც უცხო ქვეყნის მოქალაქეები და ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა სწო რედ ის გახლავთ, რომ ნარკოდილერები ანუ ამ ჯოჯოხეთის მთავარი შემოქმედნი, სწორედ საზღვრებს გარეთ არიან, იქიდან აკონტროლებენ სიტუაციას და მათზე გასვლა უმრავლეს შემთხვევაში, უბრალოდ, ვერ ხერხდება.

ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავები უიმედოდ შლიან ხელებს და ამბობენ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლებს ვერაფერს უხერხებენ. საქმე ის გახლავთ, რომ ნარკოლიბერალიზაციის გამო, არცთუ იშვიათად, ნარკოდამოკიდებულ პირს, რომელიც დაამტკიცებს, რომ ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის სურდა და არა გასაღებისთვის, სასამართლო დარბაზიდან გირაოთი, ან ჯარიმის გადახდის შემდეგ უშვებენ. მერე, ისე გამოდის, რომ პოლიციელმა, რომელმაც ნარკოტიკების მომხმარებელი დააკავა, პროკურორი, რომელიც მის პატიმრობას ითხოვდა, ცუდია და მოსამართლე კარგი. მოსამართლეებმაც რა ქნან, ნარკოლიბერალიზაციაო და ესაა ნარკოლიბერალიზაცია. ისედაც ციხეები სწორედ ამ და კიდევ ძალადობის მუხლით გასამართლებულებით არის გადავსებული.

შესაძლოა, ბევრმა არ იცის (ან რატომ უნდა იცოდეს?), რომ მეტადონის პროგრამაში ჩართულებისთვის პირობები გამკაცრდა. თუ ეტლით მოსარგებლეები აქამდე ერთი ან ორი კვირის სამყოფ ნარკოტიკს იღებდნენ სახელმწიფოსგან, ახლა იძულებულნი არიან, ყოველდღე მივიდნენ კუთვნილი დოზის მისაღებად. მიზეზი? სჯობს ამის შესახებ სამართალდამცავს მოვუსმინოთ.

„მეტადონის პროგრამა ბევრ ქვეყანააშია, მაგრამ ალბათ, არსად არ ხდება ისე, როგორც აქ, საქართველოში. ჯერ იყო და, სანამ აბებით ვაწვდიდით წამალს, კბილებზე იგლესდნენ, გარეთ გადიოდნენ, იქ კბილებიდან იფხეკდნენ და სხვებს უნაწილებდნენ, ზოგი ჰყიდდა, ზოგი საძმაკაცოს სცემდა პატივს. მერე, სითხე შემოვიღეთ და ყურადღებას აღარ ვაქცევდით, სითხეა, მოიყუდა, გავიდა, მაგრამ მალე „გამოსავალი“ აქაც იპოვეს, სითხეს არ ყლაპავდნენ, გარეთ გაჰქონდათ, სადაც პლასტმასის ჭიქით ელოდა ან მყიდველი, ან ძმაკაცი, იქ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აფურთხებდნენ წამალს და მერე ინაწილებდნენ. საზიზღრობაა ერთი შეხედვით, არა? ალბათ, მაგრამ ამას ასობით ადამიანი აკეთებდა ყოველდღე. ამიტომ, ყველაფერი გავამკაცრეთ, ახლა, როცა დალევენ, ოთახში ცოტა ხანს ვაჩერებთ, რათა წამალი კუჭის წვენს შეერიოს და გარეთ გასულმა არ ამოარწყიოს, სპეციალური აბები აქვთ, დალევენ, მაშინვე არწყევენ და მერწმუნეთ, იმ ნარწყევსაც თავისი კლიენტი ჰყავს“, – გვეუბნება პოლიციის მაღალჩინოსანი.

ყველაფერი ეს, შესაძლოა, ვიღაცისთვის მართლა საზიზღრობა და საშინელებაა, მაგრამ ვაი, რომ ამ საშინელებას და საზიზღრობას ყოველდღიურად ვხვდებით იმ ადგილებში, სადაც სახელმწიფო პროგრამაში ჩასმული ადამიანები წამლის მისაღებად რიგში დგანან. ეს იციან მათი ოჯახის წევრებმა, მაგრამ ვერაფერს ცვლიან და ქმედებას ისევ სახელმწიფოსგან ელოდებიან. აი, სახელმწიფომ კი... რა უნდა ქნას სახელმწიფომ ასეთ შემთხვევაში? ჩვენი მოკრძალებული აზრით, ნარკოპოლიტიკა ცოტა უნდა გამკაცრდეს და თუნდაც ნარკოდამოკიდებულებმა იცოდნენ, რომ მოხმარებისთვის ნაციონალებისდროინდელ „ლიანდაგივით სროკს“ არა, მაგრამ გარკვეულ სასჯელს მიიღებენ, რაც მათი დაფიქრების შესაძლებლობასთან ერთად, იმის შანსსაც მოგვცემს, რომ სადარბაზოდან გასულებს, „მარიხუანა“ ცხვირ-პირში არ შეგვაბოლონ მისმა მომხმარებლებმა და თან ამაყად არ გამოგვხედონ, კანონი ვერაფერს დამაკლებსო.

ამასთან, ისიც გვაინტერესებს, სად არის ნარკოტიკული თრობის შესამოწმებელი ტესტები? აი, ისეთი, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები რომ გვაჩერებენ, ჩაბერეო რომ გვეუბნებიან და ალკოტესტს რომ გვიტარებენ. ზუსტად ასევე უნდა ხდებოდეს ნარკოტესტის ჩატარებაც და ნარკიტიკული თრობის ქვეშ მყოფი პირს ზუსტად ისევე უნდა ჩამოერთვას მართვის მოწმობა, როგორც ნასვამ მძღოლს. რაღაც არავისგან გამიგია, ნარკოტესტი ჩაეტარებინოს და ძალიან, ძალიან კარგი და დროული იქნება ამ პრაქტიკის დანერგვა.

ახლა, რაც შეეხება ნარკოტიკების შემოტანას. საქართველოს, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო და საზღვაო საზღვარი ღია აქვს ანუ საქართველოში შემოსვლა ყველა მხრიდან შეიძლება. ეს ნარკოტიკების შემოტანის კონტროლს ძალიან ართულებს. გვერწმუნეთ, მესაზღვრეები და მებაჟეები ფხიზლად არიან, თვალს ადევნებენ ყველაფერს, ყველა საეჭვო მგზავრსა თუ შემთხვევას ბოლომდე ჩაჰყვებიან ხოლმე, მაგრამ მაინც ეპარებათ ნარკოტიკები და ამას დღეს არსებული რეალობა მოწმობს. შედარებისთვის, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანს სახმელეთო საზღვარი დახურული აქვს და ნარკოტიკების მოძრაობა იქ, ასე თუ ასე, კონტროლს ექვემდებარება, მაგრამ ჩვენზე ბევრად უკეთესი სტატისტიკა მაინც არ აქვთ. ძალიან ცუდი მდგომარეობაა თურქეთში, სომხეთში, რუსეთში კი... რუსეთში ნარკოტიკების შეძენა ყველაზე მარტივად არის შესაძლებელი და ამხელა ქვეყანასა და ამხელა ტერიტორიას სამართალდამცავები უბრალოდ ვერ აკონტროლებენ, თანაც რუსეთში „მოსულა“ პოლიციისთვის ქრთამის მიცემა, ისინი თვალს ხუჭავენ ბევრ რამეზე და ტერმინი „ატბლაგადარიტ“ ძალიან ხშირად გამოიყენება.

ისე, იმასაც გვეუბნებიან, რუსეთში თუ ქრთამს მისცემ (და ქრთამს ყველა იღებს), ნებისმიერი რამის ყიდვაც შეიძლება, გაყიდვაც და ადამიანის გაქრობაც.

ნარკოტიკებზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, სულ უფრო ხშირად ვხვდებით ისეთ ქიმიურ ნაერთებს, რომლებიც დამოკიდებულებას მალე იწვევენ, ნახევარწლიანი მოხმარების შემდეგ კი სიკვდილი დგება. ექსპერტთა ვარაუდით, ის, ვინც ნარკოტიკის მიღებას იწყებს, ექვს თვეში, ფინანსურ რესურსს მთლიანად ანადგურებს და შემდეგ უკვე გადადის ან მოპარვაზე, ან მათხოვრობაზე და ამიტომ, ყველაფერი ეს „ატრაბოტანნი მატერიალ“ (ესეც რუსული ტერმინია, რუსეთში „მოღვაწე“ ნარკოდილერების მოფიქრებული) და ისინი რაც მალე მოკვდებიან, უკეთესია. ამით, კრიმინალიც ნაკლებია და იმასაც არ ამბობენ, ნარკოდამოკიდებული ადამიანები დანაშაულს ჩადიანო ანუ ნარკოდილერებისთვის მომხმარებელი უბრალოდ შემოსავლის წყაროა, მისი ფასი მაშინვე იკარგება, როგორც კი ნარკოდამოკიდებულს ფინანსური რესურსი ეწურება და მათ სასიკვდილოდაც მარტივად სწირავენ. რა თქმა უნდა, ქიმიური ნარკოტიკის დამამზადებლებმა და გამსაღებლებმა კარგად იციან, რას იწვევს პროდუქტი, რომელსაც ქმნიან და ჰყიდიან, მაგრამ ასობით, ათასობით ადამიანის სიცოცხლე არ ანაღვლებთ. როგორც საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში, რუსეთშიც და, ალბათ, ჩვენთანაც ნარკოდისპანსერი მხოლოდ ფორმალობაა, სახელი ჰქვია, თორემ ნამდვილად გამოჯანმრთელება ვისაც სურს, ყველა ევროპაში მიდის, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ევროპაში მკურნალობა ძალიან დიდ სახსრებთან არის დაკავშირებული და სრული კურსის გავლა 130 ათას ევრომდე ჯდება, რისი შესაძლებლობაც ბევრს არ აქვს.

90-იან წლებში, ნარკოტიკებმა საქართველოს თაობა დააკარგვინა, მოუკლა, გაუქრო და ახლა იგივე წრეზე ვტრიალებთ. ჰო, იგივე წრეზე, მაგრამ 90-იანებისგან განსხვავებით, ახლა ნარკოტიკიც კი ქიმიური ნაერთია და არა ის, რასაც ადრე იკეთებდნენ. ადრე ნარკოტიკი მხოლოდ ზედმეტი დოზის გამო კლავდა ადამიანებს, ახლა კი, მნიშვნელობა არ აქვს დოზას, ქიმიური ნაერთები ორგანიზმს შიგნიდან ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად ჭამენ და სიკვდილიც მარტივად დგება. საინტერესოა, რომ ამის შესახებ, ნარკოდამოკიდებული ადამიანების უმრავლესობამ იცის, მაგრამ ბოლომდე არ სჯერა, რომ ის, რასაც იღებს, მომაკვდინებელია. არ სჯერა იმის მიუხედავად, რომ ინექციის ადგილი მეორე დღიდან ლპობას იწყებს, არ სჯერა იმის მიუხედავად, რომ ვენა იწვება და სისხლს აღარ ატარებს, იმის მიუხედავად, რომ ორი-სამი თვის შემდეგ, იძულებულია, წამალი ვენაში კი არა, არტერიაში გაიკეთოს, არტერია გახსნას, მერე თითით ეჭიროს, რომ იქიდან სისხლმა არ იფეთქოს... ჰო, ყველაფერი ეს, ჩვენი მწარე ყოველდღიურობაა და, ჯერჯერობით, გამოსავალი არ ჩანს.

ვინ და რატომ დაჭრა ნაჯახით ცნობილი ექიმი

ფატალურად დასრულებული ოპერაცია და ოჯახური დრამის სისხლიანი ფინალი

ბათო ჯაფარიძე

კარგი ექიმი ყველგან ფასობს და ამის ნათელი მაგალითები დღესაც გვაქვს. არიან ექიმები, რომლებთანაც ჩაწერა და მოხვედრა რთულია, პაციენტების სიმრავლის გამო, ხალხს ლოდინი კვირებისა და თვეების განმავლობაში უწევთ. აბა, ახლა წარმოიდგინეთ, როგორი საქმეა, სოფლად კარგი ექიმის ყოფნა? ჰო, სოფლად, არსად რომ არ გადის და დადის, ნებისმიერ დროს რომ შეგიძლია მიაკითხო და ზუსტად იცი, რომ გიშველის. ჩვენი ისტორიაც სოფლის ექიმზეა, იმ ექიმზე, რომელმაც მანამდეც და მას შემდეგაც არაერთი სიცოცხლე იხსნა და სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ, ავარიას ემსხვერპლა. აი, როცა ეს ამბავი მოხდა, ის 30 წლისაც არ იყო.

„გამომძიებლად მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, თავიდან კი მომაყარეს საქმეები, მაგრამ მერე და მერე საქმემ იკლო, ზაფხული მოვიდა და კრიმინალები, ძირითადად, კურორტებზე გაიკრიფნენ. ერთი მარტოხელა, გაუთხოვარი დეიდა მყავდა სოფლად, მიდეპეშა, ეგებ, ჩამოხვიდე, საოჯახო საქმეებში ხელი წამიკრაო და მეც წავედი“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პირველი დღე სოფლად „მშვიდობიანად“ დასრულდა, მეორე დღეს კი, გამომძიებელმა გადაწყვიტა, დეიდისთვის შეშა დაემზადებინა და ზამთრის მარაგზე ზაფხულშივე ეზრუნა. ამიტომ, შეშის ჩეხვა დაიწყო, მეხუთე თუ მეექვსე მორზე იქნებოდა მისული, როდესაც ნაჯახი აუცდა და კოჭის ზემოთ, გვარიანად ჩაირტყა. ჭრილობა აშკარად ღრმა იყო და გამომძიებელიც რაიონში აპირებდა წასვლას, მაგრამ დეიდამ ხელები გაასავსავა, რა რაიონში, აქ ისეთი ექიმი გვყავს, ნამდვილი ღვთის საჩუქარია, მასთან უნდა წახვიდეო. ბატონი თენგიზიც დაეთანხმა, სოფლის ექიმთან მივიდა და ძალიან გაუკვირდა, როცა ხელში ქირურგის დიპლომის მქონე, 30 წლამდე ახალგაზრდა შერჩა. მან ჭრილობა მარტივად დაამუშავა და უფრო მარტივად დაადო ნაკერები. აშკარად ეტყობოდა, ხელიც ერჩოდა და სერიოზული პრაქტიკაც უმაგრებდა ზურგს.

„როგორც წესი, ექიმები ქალაქში გარბიან და თქვენზე მითხრეს, ქალაქიდან ჩამოვიდაო. ასე გიყვართ სოფელი, თუ წარუმატებელ სიყვარულს ემალებით“, -ღიმილით ჰკითხა ბატონმა თენგიზმა და ექიმმაც ღიმილით უპასუხა, არავის და არაფერს ვემალები, უბრალოდ, ქალაქში ყოფნა მომბეზრდა და ამიტომ გადმოვსახლდი აქეთ. რაც მთავარია, ადგილობრივი რაიონის ხელმძღვანელობამაც ხელი შემიწყო, პატარა სახლი მომცა, ნელ-ნელა მოვაწყობ, მერე ოჯახსაც შევქმნი და სულ აქ ვიცხოვრებო. ექიმი ბატონი თენგიზის დარად, თევზაობის მოყვარული აღმოჩნდა და შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს, დილის 6 საათისთვის, სათევზაოდ წავიდოდნენ. გამომძიებელმა უთხრა, დეიდაჩემი ხაჭაპურებს დააცხობს, კონიაკი თბილისიდან ჩამოვიტანე, ამიტომ ჭიები შენ მოაგროვე, პურ-მარილი ჩემზეაო...

დილით გამომძიებელი ექიმის სახლს მიადგა, ჯერ გარედან დაუძახა, მერე შიგნით შევიდა, ისევ დაუძახა, არავინ რომ არ გამოეხმაურა, იფიქრა, ალბათ, ღრმად სძინავსო და კარი შეაღო. შუა ოთახში, ექიმი საკუთარ სისხლში ცურავდა. ბატონ თენგიზს ბევრი არ უფიქრია, ზუსტად იცოდა, ექიმის სახლში ტელეფონი იყო, სასწრაფოში დარეკა, თავად კი, ექიმების მოსვლამდე, დაჭრილისთვის ჭრილობებში ზეწრის ნახევების ჩადებას შეეცადა. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ექიმი ნაჯახით იყო დაჭრილი, ორჯერ ჰქონდა ჩარტყმული, მხრისა და თავის არეში. ორივე ჭრილობა ღრმა კი იყო, მაგრამ წესით, სასიკვდილო არ უნდა ყოფილიყო, რადგან თავის მხარეს ისეთი კუთხე ჰქონდა გაკეთებული, ტვინს არ შეეხებოდა, მხრის ძვალს კი დარტყმის სიძლიერე შეემცირებინა. ექიმები მალე მოვიდნენ, რა თქმა უნდა, ადგილზე გაჩდნენ სამართალდამცავებიც და გაუხარდათ, როცა იქ ბატონი თენგიზი დაინახეს. ჯერ ერთი, კოლეგა იყო და მეორეც, ის ყველაფერს გააკეთებდა, რომ კვალი არ წაშლილიყო და თუ დამნაშავემ რამე დატოვა, მას აუცილებლად ნახავდნენ. ცუდი ის გახლდათ, რომ იმავდროულად, გამომძიებელი მთავარი მოწმე იყო და საქმეში ოფიციალურად ვერ ჩაერთვებოდა, არაოფიციალურად კი, თანაც სოფელში, ამას მარტივად მოახერხებდა.

პირველ რიგში, ბატონი თენგიზი იმის გარკვევას შეეცადა, რა უნდოდა მართლაც ნიჭიერ ქირურგს სოფელში და ამიტომ, თბილისში დარეკა, კოლეგებს სთხოვა, ამა და ამ ექიმის საქმე გამომიგზავნეთ, მაინტერესებს, დედაქალაქში მუშაობა რატომ მიატოვაო. საქმე მალე ჩამოვიდა და გაირკვა, ორმ ორიოდე წლის წინ, ქირურგს პაციენტი შემოაკვდა, ოპერაცია ელენთაზე კეთდებოდა, სინამდვილეში კი, ბრმა ნაწლავი იყო გახეთქილა, სისხლის მოწამვლაც დაწყებულა და ოპერაცია ფატალურად დასრულდა. მას შემდეგ, ახალგაზრდა კაცმა ქალაქი და პრესტიჟული სამსახური მიატოვა და სოფლად წავიდა. ისიც გაირკვა, რომ გარდაცვლილს 19 წლის ბიჭი დარჩა და დიდი იყო შანსი, რომ მამაზე შური სწორედ მან იძია. გადაწყდა, მკვლელობის მცდელობის მომენტისთვის, ბიჭის ალიბი შეემოწმებინათ და შეამოწმეს კიდეც. მისი მონაწილეობა გამოირიცხა, რადგან გაირკვა, რომ ის სასწავლებლად მოსკოვში იყო წასული და სოფელში ყოფნას ვერ მოახერხებდა, თანაც საქმის გამომძიებელმა ბატონ თენგიზს ისიც უთხრა, ოჯახი ყველაზე ნაკლებად სწორედ ახალგაზრდა ქირურგს ადანაშაულებდაო.

უბნის რწმუნებულმა გამომძიებელს უთხრა, სოფელში ერთი მჩხიბავი გვყავს, მცენარეებისგან რაღაც ნაყენებს ამზადებდა, სოფლელებზე ჰყიდდა და მას შემდეგ, რაც ეს ქირურგი გამოჩნდა, ბიზნესი ჩაუვარდა, მისი ბევრი ნაყენი დაიწუნა ექიმმა და მოსახლეობაც ქალს აღარ ენდობაო. ქალი იმუქრებოდა, ერთხელაც იქნება, ცხელ გულზე შემომაკვდება ეგ ექიმიო და ბატონი თენგიზი მის დასაკითხად წავიდა.

„ღამე სახლში ვიყავი, მარტოხელა ვარ, ექიმისგან განსხვავებით, საყვარელი არ მყავს, ამიტომ ვერავინ დაადასტურებს ჩემს ალიბის“, – უთხრა „მჩხიბავმა“ გამომძიებელს და მის თხოვნაზე, ეგებ, ნაჯახი მანახოო (სოფლად ნაჯახი ყველას აქვს), ქალმა მხრები აიჩეჩა, დილიდან მეც ვეძებე, ვერ ვიპოვე და ვერც იმას ვხვდები, სად შეიძლებოდა შემენახაო. ბატონი თენგიზი იმითაც დაინტერესდა, ვის ჰყვარობდა ახალგაზრდა ექიმი და დიდი იყო იმის შანსი, რომ ის ეჭვიან ქმარს, მამასა თუ საყვარლის ძმას გაემეტებინა.

„სოფელში ამბობენ ერთ ქალზე, იმას ჰყვარობსო, მაგრამ მე არ მჯერა. ჯერ ერთი, იმიტომ არ მჯერა, რომ ის ქალი მასზე ათი წლით უფროსია, მეორე იმიტომ არ მჯერა, რომ ქმარი და სამი შვილი ჰყავს და მესამე იმიტომ არ მჯერა, რომ არ იყო ექიმი ისეთი სახიათის, სოფელში, გათხოვილ ქალთან რომანი გაება. ყველაფერ ამას კუდი მაშინ გამოაბეს, როცა ის ქალი რამდენჯერმე სცემა ქმარმა და მან თავი სწორედ ექიმის სახლს შეაფარა, შვილებთან ერთად. აი, ამიტომ მგონია, ხმები რომ დაყარეს, თორემ შინაგანად არ მჯერა, ექიმს ეს ეკადრა და გაეკეთებინა“, – განაცხადა სოფლის რწმუნებულმა.

ქალის ქმარი გამომძიებელს კუშტი სახით შეხვდა. იმ ღლაპთან გასარჩევი არაფერი მაქვს, ჩემი ცოლი კიდევ, ორი კვირაა, რაც დედამისთან წავიდა, გაბუტულია, ცუდი სიმთვრალე მაქვს და ალბათ, გადავამლაშეო. მას ალიბიც ჰქონდა, გვიან ღამემდე მეზობელთან სვამდა, ისე დათვრა, სახლამდე სწორედ მეზობელმა „მიიტანა“, ლოგინზე დააგდო და მასაც მაშინვე დაეძინა. მეზობელი ირწმუნებოდა, გამორიცხულია, მკვლელობა ჩაედინა, ისეთი მთვრალი იყო, ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდაო. ექიმი კვლავ უგონოდ იყო და მისი დაკითხვა ვერ ხერხდებოდა. გამომძიებელს ერთი იდეა მოუვიდა – მან გადაწყვიტა, სოფელში ნაჯახები სპეციალური სანათით დაეთვალიერებინა, რომელიც სისხლის ლაქებს, თუნდაც ისინი ძველი ყოფილიყო, მუქად აღიქვამდა, თუმცა ჩანაფიქრზე უარი მალევე თქვა, რადგან ლამის ყოველ მეორე ოჯახს, ბოლო ათი დღის განმავლობა, ქათამი მაინც ჰყავდა დაკლული და სისხლი ლამის ყველა ნაჯახს ეცხო. მალე საავადმყოფოდან დარეკეს, რომ ექიმი აზრზე მოვიდა, საუბარი არ შეეძლო, მაგრამ წერას ახერხებდა და კითხვაზე, ვინ დაესხა თავს, იმ სამი შვილის მამის სახელი დაწერა. რა თქმა უნდა, ეჭვმიტანილი მაშინვე დააკავეს და იმის მიუხედავად, რომ ამტკიცებდა, მთვრალი ვიყავიო, საბოლოოდ მაინც გამოტეხეს.

„რა თქმა უნდა, ვეჭვიანობდი, როცა ყოველი ჩხუბის შემდეგ, ცოლი მასთან გარბოდა და თან შვილებიც მიჰყავდა. სანამ ის გამოჩნდებოდა სოფელში, გასაქცევი არსად ჰქონდა, მან კი დაუწყო ტვინის არევა, ქმარს ნუ ეკვლევინები, როცა დაგჭირდეს, ბავშვები გამოიყვანე და ჩემთან გამოდი, რომ გამოფხიზლდება, შინ მერე დაბრუნდიო. ცალკე ოთახიც კი გამოუყო. დარწმუნებული ვარ, ახლო ურთიერთობა არ ჰქონდათ, მაგრამ სოფელს ამას ხომ ვერ გააგებინებ? იმ დღეს, ის კუდიანი ექიმბაში კიდევ დაიმუქრა, ექიმს მოვკლავ, საქმიანობა ჩამიგდოო და ვიფიქრე, რომ ეს ჩემი შანსი იყო. მეზობელთან დასალევად წავედი, იმ კუდიანს მანამდე ნაჯახი მოვპარე. წყალგარეულ არაყს ვსვამდი, მეზობელს კი ეგონა, მაგრად დავთვერი და ალიბიც გავინაღდე. მერე, ექიმს თავზე დავადექი, მეგონა ეძინებოდა, მაგრამ თურმე სათევზაოდ აპირებდა წასვლას, ფეხზე დამხვდა და ამიტომ, ნაჯახი კარგად ვერ ჩავარტყი. მერე ვიღაცამ დაიძახა და მივხვდი, სალხშიც შემოვიდოდა ის ვიღაც, უკანა კარით გავედი და სახლში დავბრუნდი“, – დაასრულა მოყოლა ეჭვმიტანილმა.

ექიმი, რომელიც ფეხზე ორ თვეში დადგა, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ თავდამსხმელს მინიმალური სასჯელი მიეღო და თავისას მიაღწია კიდეც – მკვლელობის მცდელობისთვის კაცს მხოლოდ 3 წელი მისცეს.

ბათო ჯაფარიძე

ადრე ასე იყო – კონკრეტული დაწესებულების თანამშრომლებს გამოუყოფდნენ მიწის არცთუ მცირე ნაკვეთს და შემდეგ ეს მიწა თანამშრომლებს შორის ნაწილდებოდა. ისინი იქ მცირე ზომის სახლებს აშენებდნენ და ასე იქმნებოდა ქიმიკოსთა დასახლება, გეოლოგთა აგარაკები და ა.შ. სწორედ ასე, ქიმიკოსთა აგარაკებზე რამდენიმე სახლი გაქურდეს და ადგილობრივები ძალიან შეწუხდნენ. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ქურდობა ზაფხულის პერიოდში მოხდა ანუ მაშინ, როცა იქაურობა დამსვენებლებით იყო სავსე, მაგრამ ქურდი ვერავინ მოიხელთა. ხმაურის ატეხვა თითქოს არავის სურდა, ყველა ყველას იცნობდა და პატივს სცემდა, მაგრამ ქურდობებს ბოლო რომ აღარ უჩანდა, ადგილზე სამართალდამცავები გამოიძახეს, თანაც ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც იმ საწარმოს დირექტორის სახლი გაუქრდეს, რომლის თანამშრომლებიც სახლობდნენ ახლო-მახლო.

„ქურდი ეს ქალია!“

როგორ იძია ქალმა შური ახალგაზრდა საყვარელზე

საწარმოს დირექტორი, 55 წელს გადაცილებული მარტოხელა ქალი იყო, ქმარი ადრე მოუკვდა, შვილები გზაზე დააყენა და მარტო ცხორობდა. აგარაკზე იმ მიზეზით არ იყო, რომ მეზობელ რესპუბლიკაში პროდუქციის შესაძენად გახლდათ მივლინებით წასული და როცა დაბრუნდა, გული დასწყდა, ყველაფერთან ერთად, დედაჩემის ნაჩუქარი ვაზა დაიკარგა, ყველაზე მეტად, გული სწორედ მასზე მწყდებაო. დანარჩენ „დაჩნიკებს“ ბევრი არაფერი ჰქონდათ დაკარგული, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ თითქოს უმნიშვნელო ნივთები, რომლებიც მათთვის იყო ძვირფასი, გამქრალიყო ანუ ქურდმა ზუსტად იცოდა, მეპატრონეები რომელ ნივთს უფრთხილდებოდნენ, იქნებოდა ეს ჯამი, თუ ჭიქა და სწორედ მათ იპარავდა.

გამომძიებელმა მარტივად დაასკვნა, რომ ქურდი ერთ-ერთი თანამშრომელი იყო, მაგრამ ვინ? ეჭვი ვერავისზე მიჰქონდა, არ აპირებდნენ თანამშრომლისკენ ხელის გაშვერას და სამართალდამცავებს პირდაპირ უთხრეს, გვეეჭვება, თქვენი ვერსია სწორი იყოს, ათეული წლებია, ერთად ვმუშაობთ და ასე ადვილად ერთმანეთს ვერ გავიმეტებდითო, მაგრამ... ფაქტი ის გახლდათ, რომ ქურდმა ზუსტად იცოდა, ვინ როდის არ იყო სახლში, ვის რა უყვარდა და მოსწონდა, ვინ რას უფრთხილდებოდა და სწორედ იმას იპარავდა. საერთო ჯამში, დაკარგული ნივთების ღირებულება ხუთას მანეთსაც კი არ სცდებოდა, მაგრამ ქურდობის 11 ეპიზოდი ძალიან ბევრი იყო. ამასთან, აგარაკებზე, ძირითადად, ქალები იყვნენ, მხოლოდ ერთი ახალგაზრდა მამაკაცი ცხოვრობდა, რომელიც იმ საწარმოში სულ სამი წლის მისული იყო, პატარა მიწის ნაგლეჯი მასაც შეახვედრეს, სადაც ასევე პატარა, ოროთახიანი ხის სახლი ჩადგა და თავისთვის ხარობდა. მამაკაცს, პრაქტიკულად, ყველა ქურდობის დროს, ალიბი ჰქონდა, ხან რომელ თანამშრომელთან ერთად ისვენებდა მისი თუ სხვისი სახლის ეზოში, ხან – რომლის. ამასთან, კაცის საქმეს სოფლად რა გამოლევს და ვიღაცას ღობეს უკეთებდა, ვიღაცას – ჭიშკრის შეღებვაში, ვიღაცას – საქათმის შეკეთებაში...

რა თქმა უნდა, ძალოვნებმა მარტივად არ ჩამოწერეს ახალგაზრდა და ისიც მოიკითხეს, რომელიმე თანამშრომელს ხომ არ ჰყვარობსო, მაგრამ ყველამ ხელები გაასავსავა, ასეთი წესიერი კაცი საერთოდ თუ არსებობს, არც კი ვიცით, ყველას ზრდილობიანად ექცევა, როცა თავად ჩვენ, ქალები, რაიმე გადაკრულს ვეტყვით, გავეხუმრებით, თავს ხრის და წითლდებაო. ყველაფერი ეს მარტივად მოსასმენი, მაგრამ რთულად დასაჯერებელი იყო. ირგვლივ რომ 30 ქალი გახვევია, თან ზაფხულში, ყველას რომ შალიფად აცვია, წარმოუდგენელია, თვალი ერთხელ მაინც არ გაგექცეს და ეს „გაქცევა“ ადრესატმა ვერ შენიშნოს. „დაჩნიკების“ გასაგონად, გამომძიებელმა ჩაილაპარაკა, დანარჩენს თბილისში გავარკვევთ, სამი-ოთხი დღის შემდეგ ჩამოვალთო და სოფელზე თვალთვალი დააწესა. ორი ოპერმუშაკი დღისით იმალებოდა, შებინდებულზე კი სოფელში დაძვრებოდა და ცდილობდა, მიეყურადებინა, იქნებ, ვინმეს რამე წამოსცდენოდა და თან, მუდმივი თვალთახედვის არეში, სწორედ ის ახალგაზრდა კაცი ჰყავდა. პირველივე ღამეს, ასე, 12 საათისთვის, ახალგაზრდა კაცი ქოხიდან შეუმჩნევლად გამოვიდა, ღობეზე აკრულმა გაიარა შარაგზა, ერთ-ერთ სახლთან გაჩერდა, მერე მეორე მხრიდან შემოუარა და უკანა აივნიდან გადაძვრა. სამართალდამცავებს ეგონათ, რომ ქურდი მახეში გაება, მაგრამ სახლიდან მხიარული და ბედნიერი შეძახილის ხმა გაისმა. ისინი ფანჯარასთან მივიდნენ და დაინახეს, როგორ ეხვეოდა კაცი ქალს, როგორ ვნებიანად კოცნიდნენ ისინი ერთმანეთს და როგორ გადაინაცვლეს ლოგინში. სისხამ დილით, კაცი სახლში დაბრუნდა და მეორე დღეს, ვითომ არაფერი მომხდარა, ერთ-ერთ მეზობელს ბოსტნის გამარგვლაში დაეხმარა.

მეორე ღამეს იგივე განმეორდა – იგივე მანევრი, იგივე ქალი. ოპერმუშაკებმა გაარკვიეს, რომ ქალი გაუთხოვარი იყო, კაცზე ასე, 4-5 წლით უფროსი და როგორც ჩანს, ერთმანეთთან ურთიერთობა დიდხანს ჰქონდათ, ისე შინაურულად იყვნენ. ამასობაში, სოფელში საწარმოს ხელმძღვანელიც ჩავიდა, საკუთარ აგარაკს მიხედა, გაანიავა, ეზო დაგავა, ახალგაზრდა კაცი დაიხმარა, ორ ადგილზე ამძვრალ ხის ღობეს ფიცრები გაუმაგრა, საღამოს კი, ყველა ჩაიზე დაპატიჟა. სტუმრები ასე, 12 საათისთვის დაიშალნენ, ყველა სახლში წავიდა, თუმცა... ის ახალგაზრდა კაცი მალევე დაბრუნდა და ამჯერად ღამე საწარმოს ხელმძღვანელთან გაატარა. მეორე დღეს, პირველმა საყვარელმა კაცი შავ დღეში ჩააგდო, რგორ გაბედე, როგორ მიღალატე, ასეთი უსირცხვილო როგორ ხარ, დედისტოლა ქალთან რომანი რომ გაქვსო. ისიც დასჯილი ბავშვივით უსმენდა და მართლაც, ქალი კაცზე 20 წლით უფროსი გახლდათ. ოპერებმა ყველაფერი თბილისს უპატაკეს, თუმცა წესით, ეს ურთიერთობები ქურდობასთან კიავშირში არ უნდა ყოფილიყო. თვალთვალი კიდევ ორი დღე გაგრძელდა, კაცი ჯერ საწარმოს დირექტორთან მიდიოდა, ნაშუაღამევს – შედარებით ახალგაზრდა ქალთან და ასეთ გაწამაწიაში დიდხანს რომ ვერ „გაქაჩავდა“, ადვილი მისახვედრი იყო და აკი მოიმიზეზა კიდეც, ორი დღით დედაქალაქში უნდა დავბრუნდეო. მისი წასვლის დღესვე გადაწყდა, სახლი გაეჩხრიკათ, ოღონდ ისე, რომ არავის არაფერი სცოდნოდა. ამიტომ, მის სახლში ღამით შევიდნენ, საინტერესო ვერაფერი ნახეს, თუმცა იატაკის ფიცარი ისე მოძრაობდა, მიხვდნენ, ქვემოთ სიცარიელე უნდა ყოფილიყო და მართლაც, ასე სამ კვადრატულ მეტრზე, მცირე სარდაფი იყო მოწყობილი, სადაც... ყველა ნაქურდალი ნივთი ლამაზად, ჯერ ქაღალდში, შემდეგ ცელოფანში გადახვეული იდო. არადა, ამ კაცს ყველა „დაჩნიკი“ თავდებად უდგებოდა, ალიბიც სწორედ მათი მეშვეობით ჰქონდა. ახალგაზრდა კაცი თბილისში არ დაკავეს, უბრალოდ, უთვალთვალებდნენ და ის ორი დღის შემდეგ, მართლაც სოფელში დაბრუნდა. სწორედ იმ დღეს, როცა ის ჩავიდა, კიდევ ერთი ქალი აყვირდა, ჩემი კერამიკული ქოთანი ეზოდან მომპარესო. სამართალდამცავებს დაზუსტებით შეეძლოთ იმის თქმა, რომ მამაკაცი არაფერ შუაში იყო, რადგან მთელი იმ დროის განმავლობაში უთვალთვალებდნენ და მას ნამდვილად არაფერი მოუპარავს. ამის მიუხედავად, მის სახლში ჩხრეკა ოფიციალურად უნდა ჩატარებულიყო და დაკითხვაც ოფიციალურად მომხდარიყო.

„წარმოდგენა არ მაქვს, ეს ნივთები აქ საიდან მოხვდა. ნახეთ, ანაბეჭდები აიღეთ, მე ხელი არცერთისთვის არ მიხლია. ალბათ, ვინც მოიპარა, გადაწყვიტა, რომ აქ უნდა შეენახა, მაგრამ რატომ“, – გაოცდა კაცი და მართალიც იყო, მისი ანაბეჭდები არცერთ ნივთზე არ გახლდათ, მაგრამ ნივთები საგულდაგულოდ იყო გაპრიალებული, მათზე არავის ანაბეჭდი არ იყო და კაცის სასარგებლოდ მხოლოდ ის მეტყველებდა, რომ კერამიკული ქოთანიც სწორედ მის სარდაფში იდო, ის კი მას არ მოუპარავს და ეს სამართალდამცავებმა ზუსტად იცოდნენ. როცა ნივთებს დახედა, საწარმოს დირექტორმა წარბი ასწია, მის კონკურენტს ანუ კაცის კიდევ ერთ საყვარელს გახედა და ხმამაღლა თქვა – „ქურდი ეს ქალია!“ ყველა გაოცდა, თუმცა დირექტორმა მშვიდად განაგრძო, ერთი წლის წინ, ეს ქაღალდი ჩემთვის ჩამოვატანინე თანამშრომელს, საკმაოდ ბევრი იყო და სწორედ მას მივეცი. მეტი ასეთი ქაღალდი არავის აქვს და ამიტომ, ლოგიკურია, რომ ქურდი სწორედ ის გახლავთო. ძალოვნებმა ქალის სახლი გაჩხრიკეს და ქაღალდები მართლაც იქ ნახეს. დამალვასა და დაფარვას აზრი არ ჰქონდა.

„ეს უნამუსო (როცა ქალები საქმეს არჩევენ, როგორც წესი, უნამუსო მამაკაცია) კაცი მე მპირდებოდა, ცოლად მოგიყვანო, მაგრამ რომანი ამ ბებერთანაც ჰქონდა. სხვაგვარად, ასეთი მცირე სტაჟის გამო, მიწის ნაკვეთს ვინ მიაშავებდა, იმ კუდიანმა უჩალიჩა, სანაცვლოდ, ახალგაზრდა კაცთან ერთად კოტრიალობდა. ნივთები, როგორც ხედავთ, არ დამიზიანებია, თუ დირექტორთან ურთიერთობას არ შეწყვეტდა, მერე რომელიმე თანამშრომელს ვეტყოდი, ქურდი ეს ბიჭია-მეთქი და არა მარტო სამსახურიდან, არამედ, აქედანაც გააგდებდნენ და ეს ჩემი შურისძიება იქნებოდა“, -განაცხადა დაკავებულმა, რომელსაც სასამართლომ ბოლომდე „ვერ გაუგო“ და ქურდობის რამდენიმე ეპიზოდის გამო, თავისუფლების აღკვეთა 4 წლით მიუსაჯა.

დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ სცნო. ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის 18 იანვარს, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში, ორმა პირმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, დაზარალებულს ჯგუფურად, მოკვლის განზრახვით, ბლაგვი საგნების გამოყენებით სხეულის დაზიანებები მიაყენეს, შემდეგ კი გაგუდეს. მიღებული დაზიანებებით ის ადგილზე გარდაიცვალა.

„აღნიშნულის შემდგომ, დანაშაულის ჩამდენმა პირებმა მოკლული ველისციხეში სარწყავი არხის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ჭაში დამარხეს.

ასევე, დანაშაულის ჩამდენი პირები მოკლულის კუთვნილ მობილურ ტელეფონს დაეუფლნენ.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცხედარი ჭაში 2023 წლის 25 მაისს იქნა ნაპოვნი.

დანაშაულის ჩამდენ ერთ პირს ბრალდება დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ქურდობის ფაქტებზე წარედგინა. თელავის რაიონულმა სასამართლომ ის წარდგენილ ბრალდებაში სრულად ცნო და დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, მას ბრალდება ასევე წარდგენილი აქვს დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ქურდობის ფაქტებზე. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თელავის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს შემოტანის ფაქტები აღკვეთეს. მათივე ცნობით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 18 005.37 ლარი შეადგინა.

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში **„სადახლო-საავტომობილო“, მებაჟე ოფიცრების მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა – 103 15 გრამი) და 261 ცალი ბრილიანტის თვალი გამოვლინდა.**

არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 18 005.37 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით ჯარიმა, ჯამში 18 005,37 ლარის ოდენობით შეეფარდათ“, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სუს-ის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის – „უსაფრთხოების სკოლის“ მეხუთე სეზონი დაიწყო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის, „უსაფრთხოების სკოლის“ მეხუთე სეზონი დაიწყო. ზამთრის სკოლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე შენგელი ფიცხელაურმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თორნიკე ჭეიშვილმა, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ნოდარ პაპუკაშვილმა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა ნინო ენუქიძემ საზეიმოდ გახსნეს. მათ მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და წარმატება უსურვეს.

ზამთრის სკოლაში მონაწილეობის მისაღებად თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის 29 სტუდენტი შეირჩა. პროექტი მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, ორი კვირის განმავლობაში ეროვნული თუ საერთაშორისო საფრთხეებისა და სხვადასხვა გამოწვევის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ უსაფრთხოების სფეროს პირველი პირებისა და სფეროს წამყვანი ექსპერტებისგან მიიღონ. ამასთან, სტუდენტები შეისწავლიან საფრთხის შემცველ სიტუაციებში სწრაფად ორიენტირებისა და თავის დაცვის ხერხებს, გაივლიან ფიზიკური მომზადების კურსს.

,,უსაფრთხოების სკოლა“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პროექტია. მისი იდეა ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავება და უსაფრთხოების საკითხებისადმი ცნობიერების ამაღლებაა. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ზამთრის სკოლა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის მხარდაჭერა“, იუსტიციის სამინისტროსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს. ,,უსაფრთხოების სკოლას“ ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრი მეხუთედ მასპინძლობს.

ჯიკიჩის წარუმატებელი სტარტი და ძალიან ცუდი ნაკრები

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დანიასთან შეხვედრით გახსნა. სიმართლე გითხრათ, იმის მიუხედავად, რომ სტუმრად ვთამაშობდით, მსოფლიო რეიტინგში 58-ე ადგილზე მყოფ გუნდთან მარტივი მოგების იმედი გვქონდა და პირველი პერიოდი მართლაც მარტივად – 23:12 მოვიგეთ, თუმცა შემდეგ ავირიეთ, მომდევნო სამი პერიოდი წავაგეთ და ჯგუფში უშუალო კონკურენტთან დავმარცხდით.

პრინციპში, მარცხიც არის და მარცხიც – საქართველოს ნაკრებს იმდენი წუნი ჰქონდა, ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენს ბიჭებს, რამდენჯერმე, შეტევისთვის განკუთვნილი დრო უბრალოდ გაეპარათ და მსაჯმა ბურთი მასპინძლებს გადასცა. საქართელოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში, ეს ალექსანდრ ჯიკიჩისთვის პირველი შეხვედრა იყო და დებიუტი აშკარად წარუმატებელი გამოუვიდა. შემდეგ შეხვედრას ჩვენი ნაკრები თბილისში, სერბეთთან გამართავს და თუ ისევ ასე იასპარეზებს, გვერწმუნეთ, სერბები სამარცხვინოდ მოგვიგებენ.

კობიაშვილი, შესაძლოა, უეფა-ს პრეზიდენტი გახდეს

მოგეხსენებათ, 2027 წელს, უეფა-ს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. იმის მიუხედავად, რომ ევროპული ფეხბურთის მოქმედ ხელმძღვანელს, ალექსანდრ ჩეფერინს უფლება აქვს, კენჭი კიდევ იყაროს, მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ამის გაკეთებას აღარ აპირებს. ჰოდა,საფეხბურთ სამყაროში უკვე მსჯელობენ, ვინ შეიძლება გადაიბაროს ჩეფერინის მემკვიდრეობა და არის მოსაზრება, რომ უეფაში ახალი სისხლია საჭირო, ნოვაციები, რეფორმები... იყო ვარაუდი, ჩეფერინის სავარძელში პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფერნანდო გომეში ჩაბრძანდებოდა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ 2027 წელს, გომეში 75 წლის იქნება და საეჭვოა, ამ ასაკში გრძელვადიანი და დამღლელი სამუშაოსთვის მზად იყოს.

ვარაუდობენ, რომ ყველაზე მეტი შანსი 2027 წელს, უეფა-ს აღმასკომის პირველ ქართველ წევრს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტსა და მოქმედ პარლამენტარს, ლევან კობიაშვილს აქვს. კობი ჩეფერინთანაც საუცხოო ურთიერთობაში იმყოფება და ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან მას მარტივად შეუძლია, ქართველს პრეზიდენტობისთვის ნიადაგი მოუმზადოს. ჰო, კიდევ ერთი საკითხი – უეფა-ს პრეზიდენტს სხვა თანამდებობის დაკავების უფლება არ ექნება.

ხანძრმა გრანადა-ვალენსია გადადო

წესითა და რიგით, 24 თებერვალს, ესპანეთის პრიმერადივიზიონის 26-ე ტურში, გიორგი მამარდაშვილის „ვალენსიას“ სტუმრად „გრანადასთან“ უნდა ეთამაშა, მაგრამ „ღამურების“ ხელმძღვანელობამ მატჩის გადადება მოითხოვა. საქმე ის გახლავთ, რომ ვალენსიაში ორი საცხოვრებელი კორპუსი დაიწვა, სულ მცირე, ოთხი ადამიანი დაიღუპა, 19 კი დღემდე დაკარულად ითვლება და მათ დანახშირებული შენობის ნანგრევებში ეძებენ. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის გადატანაზე თანხმობა განაცხადა, რეგიონში კი სამდღიანი გლოვაა და სახელმწიფო დროშები დაშვებულია.

იმავე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 26-ე ტურის ყველა შეხვედრა წუთიერი დუმილით დაიწყება.

„საბურთალომ“ სახელი შეიცვალა

საქართველოს უმაღლესი ლიგის ბინადარი „საბურთალო“ ახალი სეზონიდან ახალი სახელით იასპარეზებს. თბილისის ერთ-ერთი უბნის პატივსაცემად დარქმეული სახელით, 1999 წლიდან, ანუ დაარსების დღიდან ასპარეზობდა, 2004-2005 წლების სეზონში პირველი ლიგის ჩემპიონიც გახდა და დღემდე კლუბი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. 2014 წლიდან დღემდე, „საბურთალომ“ ეროვნული ლიგის ჩემპიონობასთან ერთად, დავით ყიფიანის თასი და სუპერთასიც მოიგო.

„ახალ ფურცელს ვიწყებთ ჩვენს ისტორიაში. ვფიქრობ, რომ ეს ლოკალური პროექტი, რომელიც იყო ერთი კონკრეტული უბნის სახით, ახლა საჭიროა განვითარდეს, როგორც ეროვნული პროექტი. „იბერია“ არის სახელი, რომელიც ყველაზე შესაფერისია ამ პროექტისთვის“, – განაცხადა კლუბის დამაარს ებელმა და პრეზიდენტმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა.

ვალცონა VS კვარაცხელია – ნეაპოლში დაპირისპირება დაიწყო?



მოგეხსენებათ, ზედ ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალური მატჩის წინ, აურელიო დე ლაურენტისმა „ნაპოლის“ თავკაცი, ვალტერ მაცარი თანამდებობიდან მოხსნა და მის ნაცვლად, სლოვაკეთის ნაკრების მოქმედი მწვრთნელი, ფრანჩესკო კალცონა დანიშნა. იტალიელ სპეციალისტს უმძიმესი დებიუტი ელოდა და მართლაც, „ბარსელონასთან“ საჩემპიონთალიგო მატჩი ისე დაიწყო, იფიქრებდით, კატალონიელები მეტოქეს გაანადგურებენო, თუმცა სტუმრებმა გოლი მხოლოდ მეორე ნახევარში შეაგდეს – ეს რობერტ ლევანდოვსკიმ მოახერხა. კალცონამ მატჩში გარდატეხის შეტანა გადაწყვიტა და... მოედნიდან ხვიჩა კვარაცხელია გაიყვანა. ამის შემდეგ, „ნაპოლი“ უკეთესად ათამაშდა, ვიქტორ ოსიმენმა გაიტანა და საბოლოო ანგარიში დაიფიქსირა. კვარას შეცვლის დროს, ნათლად გამოჩნდა, რომ ქართველ შემტევს მწვრთნელის გადაწყვეტილება არ მოეწონა და უკმაყოფილება ღიად გამოხატა.

კვარაცხელიას საქციელს ვეტერანი ფეხბურთელები და ჟურნალისტები გამოეხმაურნენ, პრაქტიკულად, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ქართველი არასწორად მოიქცა, რომ ასე ღიად, მწვრთნელის მისამართით უპატივცემულობა არ უნდა გამოეჩინა, მით უმეტეს, რომ მისი შეცვლის შემდეგ, გუნდმა უკეთესი ფეხბურთი ითამაშა. ადგილობრივი მედია კალცონას უჭერს მხარს, აქაოდა, კვარაცხელიას შეცვლას დიდი ვაჟკაცობა უნდოდა და მწვრთნელმა ხასიათი გამოავლინა, რაც გუნდურ სულისკვეთებაზე კარგად აისახებაო. შეგახსენებთ, რომ აქტიურად წერენ კვარაცხელიას ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლაზე, ეგებ, ჩვენებურს მოედანზე დიდხანს დარჩენა ამიტომაც სურდა. საპასუხო მატჩი კატალონიაში 12 მარტს გაიმართება.

რაც შეეხება იტალიის სერია A-ს. „კალიარის“ წინააღმდეგ შეხვედრაში, მთავარმა მწვრთნელმა კვარაცხელია კვლავ ძირითად შემადგენლ;ობაში დააყენა, მაგრამ ისევ ძალიან ადრე, 70-ე წუთზე შეცვალა და ეს მაშინ, როცა ქართველი არა მარტო თანაგუნდელთა შორის, ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მატჩამდე კალცონამ განაცხადა, ჩემთვის ავტორიტეტები და გვარები არ არსებობენ, რასაც გადავწყვეტ, უსიტყვოდ უნდა შესრულდესო და როგორც ჩანს, წესრიგის დამყარება, გუნდში ყველაზე ავტორიტეტული ფეხბურთელის „დასჯით“ დაიწყო. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება მათი ურთიერთობა და ჟურნალისტები უკვე წერენ, რომ მწვრთნელი კლუბის პრეზიდენტის, აურელიო დე ლაურენტისის მითითებით მოქმედებს. საქმე ის გახლავთ, რომ დე ლაურენტისმა კვარაცხელიას მენეჯერებს კონტრაქტის გახანგრძლივება და ხელფასის გაზრდა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო და ვარაუდობენ, რომ ზაფხულში კვარა სხვა გუნდში გადავა. სწორედ ეს არ სურს პრეზიდენტს და მას ზუსტად ისე სჯის, როგორც პიოტრ ზელინსკის, რომელმაც კონტრაქტი უვკე შეათანხმა „ინტერთან“ და ამის გამო, დე ლაურენტისმა ის საჩემპიონთალიგო განაცხადიდან ამოიღო.

ნაკრები ისევ დამარცხდა და საქართველო ბუმ დატოვა

ევრობასკეტის შესარჩევში საქართველოს ეროვნული ნაკრები დანიასთან მარცხის შემდეგ, სერბეთს ვერაფერს რომ ვერ მოუხერხებდა,ადვილი მისახვედრი იყო. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები თბილისში მოსაგებად ჩამოვიდნენ და აკი, მარტივად იმარჯვეს კიდეც., ჩვენს გუნდს, ახალი მწვრთნელის ხელში, აშკარად ძალიან ბევრი სამუშაო აქვს და ბევრი რამ უნდა დახვეწოს. მარცხის მიუხედავად, ჩვენს გუნდს ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეექვსედ მოხვედრის შანსი მაინც აქვს. მთავარია, დანიას თბილისში იმაზე მეტი ქულით მოვუგოთ, ვიდრე სტუმრად წავაგეთ და თან ისიც აუცილებელია, რომ სერბებმა დანიელები ორივე შეხვედრაში დაამარცხონ.

წაგების მიუხედავად, თბილისის სპორტის სასახლეში მაინც საზეიმო განწყობა იყო. ნაკრებიდან 37 წლის გიორგი ცინცაძე გააცილეს. „ბუ“ ეროვნულ გუნდში 20 წლის განმავლობაში ასპარეზობდა და სერბეთთან გამართული მატჩი მისთვის 217-ე იყო, რაც საქართველოში ნებისმიერი ნაკრებისთვის რეკორდული შედეგია და მასთან ახლოსაც კი არავინაა.

ილია თოფურიამ ქამარი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წარადგინა

UFC-ში პირველმა ქართველმა ჩემპიონმა ილია თოფურიამ საჩემპიონო ქამარი მადრიდელ გულშემატკივარს წარუდგინა. მოგეხსენებათ, ილია ესპანეთისა და საქართველოს სახელით ჩხუბობს და გულშემატკივარი ორივე ქვეყანში მრავლად ჰყავს.

ესპანეთის პრიმერადივიზიონის 26-ე ტურის ცენტრალურ შეხვედრაში, „რეალმა“ „სევილიას“ უმასპინძლა, მატჩის დაწყებამდე, გადაჭედილი „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდორზე თოფურია საჩემპიონო ქამრით გავიდა და ბურთთან პირველი სიმბოლური შეხებაც მან შეასრულა. შეგახსენებთ, რომ თოფურიამ ქამრის დაცვისთვის მომდევნო შეხვედრის ჩატარება UFC-ის ორგანიზატორებს სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სთხოვა.

ვაჟა ფშაველა

მგელი

მგელი ფრიად დაღონებული იყო. ბევრჯერ მოჰშივნია, ბევრჯერ უთხრია ტოტით მიწა და იმით დაუნელებია კუჭის წვა; ბევრჯერ ფუტურო ხე უღრღნია კბილით, გაძღომის გულისთვის. სიმშილისაგან შეწუხებულს ბევრჯელ უთხოვნია ღვთისთვის:

„ღმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო, რომ გავძღე, ნუ მომკლავ სიმშილით!.. შენი გაჩენილი ვარ, დამარჩინე, უფალო!“ – მაგრამ როცა ღმერთს შეუსმენია მისი თხოვნა, მგელს დაჰვიწყნია მადლობის გადახდა.

სამაგიეროდ, როცა ამაოდ ჩაუვლია მის თხოვნა-ვედრებას, სამდურავი, საყვედური გამოუცხადებია ღვთისთვის:

„შენ ღმერთი კი არა, არ ვიცი, რა ხარ. არ იცი შეწყნარება, არ იცი სიბრალული. გევედრები, არ მისმენ; შეგიძლიან აასრულო ჩემი თხოვნა და არ გინდა. რა დავაშავე? მითხარი, რა დავაშავე? რა ცოდვა მოვიმოქმედე?“

როცა ამ სიტყვებს ამბობდა ეს საცოდავი ნადირი, უნდა გენახათ, მაშინ რა საზარელი შეხედულება ჰქონდა და მასთან საბრალო. თუმც ორივე თვალი ცისაკენ ჰქონდა ამართული, მასთან ერთი თვალით მაინც ალმაცერად იცქირებოდა: მიწას, ტყეს არ აშორებდა... ვინ იცის, როგორ იყოს საქმე! ან ლუკმა არ ამცდეს, ან მტრის მსხვერპლი არ გავხდეო; მისი თვალები ცასა და დედამიწას ცეცხლის სხივებს ესროდა; ეს ცეცხლი სხვა ჯურის ცეცხლი იყო, იგი არა ჰგავდა არც ცეცხლის, არც მზე და მთვარის სინათლეს, ხოლო საშინელი სანახავი იყო ეს სინათლე.

ყველასაგან მოძულებული და ყველასაგან შეჩვენებული დღესაც დაღონებული იწვა უდაბურს ტყეში. ორივე ტოტი წინ გაეწოდა, დიდი სალი კლდე თავზე დასჩერებოდა და ზურგს უმაგრებდა; მგელი ცის სივრცეს გასცქეროდა. მას სასმელ-საჭმელი აღარ აწუხებდა. მაშ, რადა სწუხდა? რად იყო დაღონებული? რას ფიქრობდა ეს ბეჩავი ცხოველი? გიკვირსთ? ნუ გაგიკვირდებათ!..

დღეს მგელი სრულიად სხვა რასმე ფიქრობდა და ისევ ამ ფიქრით ღმერთს ემუდარებოდა: „ღმერთო, რად გამაჩინე მგლად?! რადა ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რადა ვარ სისხლით გაუმაძღარი? ათასს სულ ცხვარს ერთს ღამეში თავებს გავბალთავ, განა, ერთი არ მეყოფა?! რად მიყვარს ხორცის ჭამა და სისხლის სმა?! რატომ არა ვარ შველი, ან ირემი, თუნდ ბეჩავი კურდღელი?.. კურდღლობა მე არ შემიძლიან, არც ირმობა, არც შვლობა... ჩემი ბუნება სულ სხვაა, ეშმაკი მიზის გულში და მიჩანგებს:

„გააფუჭე, წაახდინე!.. აგებული დაშალე, ცოცხალი მოკალ, შათქი, შაყლაპე!.. რაც შეიძლო, ბევრი სისხლი დაანთხიე!.. ნუ დაჰზოგავ ნურავის, რასაც კბილი და კლანჭი მიგიწვდება! თესე ქვეყანაზე ვაება, ტირილი და გლოვა, სისხლი და ცრემლი!“

აი, ჩემი ნდომა, ჩემი წადილი, ჩემი ბუნებაა... ააახ!.. არ მინდა ვიფიქრო, არ მინდა გავიხსენო ჩემი ცოდვები... ააახ! ღმერთო, ღმერთო, შე დალოცვილო! რა უბედური, რა ყველაზე საწყალი გაგიჩენივარ! და, განა, მარტო მე? რა საჭიროა ან ვეფხვი, ან დათვი, ან სხვა სისხლის მსმელი ნადირი?.. რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს, ცოდვის მეტს. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსება, თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა. არ შეგვეძლო, განა, ბალახი გვეძოვა და ისე გვეცოცხლა?

სისხლის მაგივრად, წყალი გვესვა? ჩვენ ყველგან შიშსა ვთესავთ, ჩვენი ყველა სულდგმულს ეშინიან და ყველა გვემტერება. ზოგი, ვისაც ხელის შემობრუნება არ შეუძლიან, გაგვირბის; ვისაც თოფი და ტყვია-წამალი აქვს და გული ერჯის, სასიკვდილოდ არა გვზოგავს...

ოოოხ! არა, არა! არა ღირდა ჩვენი გაჩენა...

მე მგლობამ უბედურების მეტი სხვა არაფერი მომიტანა... იქ რა უნდა, რა ესაქმის ბედნიერებას, საცა ქენჯნა და მხილებაა სინდისისა?!. რა მქვიან მე? – მგელი.

უვარგისს, უმსგავსს სახელს ვატარებ. ნუთუ, ამისთანა ყოფნა ყოფნაა, ამისთანა სიცოცხლე სიცოცხლეა?!. არა, ეს მკვდარი სიცოცხლეა. როცა დავდივარ, უსულო და სულიერი, ყველა ზიზღითა და შიშით იძახის:

„მგელი!“

გასკდი, დედამიწავ და თან ჩამიტანე! ფუუუჰ!.. ჩვენ როცა გვშიან, ერთმანერთსაც კი ვჭამთ: თვით ჩემი დედა, და-ძმები მგლებმა დაჭამეს და მეც, იქნება... ჰო, იქნება კი არა, სწორედ შესაძლებელია ჩემივე მსგავსის, ჩემის თვისისა და ტომის საგლეჯ-საწეწი შევიქმნა ოდესმე. მითხარით, მირჩიეთ, რა ვქნა? რითი ვუშველო ჩემს თავს? საით, როგორ დავაღწიო თავი ამ მგლურს ბუნებას, ამ წყეულს, ამ შეჩვენებულ წადილთა და გრძნობა-მისწრაფებათა ხროვას?.. ეეეჰ!“ – სთქვა მან და მწარედ კბილები დააკრაჭუნა.

ამ დროს, იქვე ხეზე ჩხიკვი ჩამოჯდა, მგელს დააცქერდა, კისერი გადმოძაბა, იმანაც თითქოს კბილები გააკრაჭუნა, დაუწყო კირცხება, ჯავრება და შემდეგ „ჩხიიი, ჩხიიი“ გააბა... ბოლოს, ისევ თავს დაუწყო კანტური და მოჰყვა:

„საწყალო, საწ-ყა-ლო!.. საწყალო!.. ხა-ხა-ხა!“ – თან გაიცინა; ფრინავდა მოუსვენრად, ტოტიდან ტოტზე, ნავარდობდა, ცელქობდა, მხიარულობდა.

მდინარე, ქვევით ხევში, ლოდებზე მომდინარეც, ტკეპნით მიაქანებდა ტალღებს, თითქოს, ისიც რაღაცას ამბობდა, თითქოს, მიმხვდარიყო და თანაუგრძნობდა მგლის გულის ტკივილს – „უყურე, მგელს, – ამბობდა იგი, – ვინ მგელი, ვინ ეგ სიტყვები?

ღმერთო, ამას რას მოვესწარი!.. მიკვირს, გამკვირებია!“ – რად სცრუობ, ვის ატყუებ? შენ, იქნება, ან ავადა ხარ, ან მოხუცდი და აღარ ძალგიძს მგლური ნავარდი და მიტომ მოინდომე გადასხვავება? გინდა, იმ ერთ ადამიანივით, სამოცდაათი წელი რომ გარყვნილებაში გაატარა და როცა ყოველი ძალა და ჯანი გამოელია, გარყვნილების მასაზრდოებელი, მაშინ შედგა ბერად, სულის მოსაგებად, – შენც სული მოიგო? სტყუი, სცრუობ! – შემოსძახა მდინარემ ქვევიდან.

– არა სტყუის! – დაიჩხავლა ჩხიკვმა.

– გულწრფელად ამბობს, არა სტყუის! – დაიბუტბუტა კლდემ, მგლის თავზე შავად დაყუდებულმა.

– მართალია, მართალი, არა სტყუის! – დაიგრიალა ტყემ და მიშოლტ-მოშოლტა თავისი ფოთლიანი ტოტები.

– განა, აქაო და მგელიაო, სიმართლეს არ იტყვის, არაფერი დაეჯერება? – დააკაკუნა კოდალამ.

ხოლო მგელი ხმას არ იღებდა... გარინდებული იყო.

– ვაჰ!.. მე რომ... მე რომ ის... ვიყო? – ბუტბუტებდა და თან დასთვლიმა. დასთვლიმა და რა მოესიზმრა?

ირმად ქცეულიყო, მშვენიერი ტანისა, ბოჯოჯღი რქებით შემოსილი, ყელმოღერებული, სხვა ირმებთან ერთად დანავარდობდა ტყეში.

მძინარას გრიალი, ხმელი ფოთლების შრიალი და ლაწა-ლუწი შაესმა. ფეხზე წამოდგა... მის პირდაპირ, დამფრთხალი ირმები გარბოდენ.

– ეჰ, გამასწრეს! – სთქვა მგელმა თავისთვინ, – მოვტყუვდი.

წავიდნენ, წავიდნენ!

მირბიან, მირბიან! ხოლო თვალს ვერ აშორებდა, ირმებს თან გაჰყვა მისი თვალები.

მონადირემ, რომელიც ირმებს მისდევდა, გაბრიყვებულს მგელს თვალი შეასწრო.

– ირმები თუ გამექცნენ, ეს ხომ აქ არის! – სთქვა მან და გამოუმიზნა თოფი.

თოფი გავარდა... და მგელიც წაიქცა...

მოკვდა მგელი... ამ შემთხვევამ ყველანი გააოცა.

– დიდება შენთვის, უფალო, წინადიგრძნო სიკვდილის მოახლოვება, თორემ ვინ მგელი, ვინ მაგისთანა მსჯელობა? – ამბობდა კლდე.

– საწყალი, საწყალი მგელი! – დუდუნებდა მდინარე, – თქვენ არ დაიჯერებთ, ცხონებულია!.. – კრრრიია! – გაისმა კოდალას კაკუნი.

ჩხიკვი კი მაღლა ხის ტოტზე დაფარფატებდა და უგემურად ჩხიკვინებდა... ტყე არაფერს ამბობდა, თავი დაბლა დაეღო და ღრმა, საიდუმლო ფიქრებში იყო გართული.

საკვებ ნარჩენებს ავტომატი ჰყიდის

ამომავალი მზის ქვეყანაში, ქალაქ იოკოჰამაში მდებარე საცხობმა Enmichi Pan-მა საკვები ნარჩენების პრობლემის ინოვაციური გზით გადაჭრა მოიფიქრა – დარჩენილ გასაყიდ პურებს, სავაჭრო ავტომატის მეშვეობით, დაბალ ფასად ჰყიდიან. ასეთმა მეთოდმა არა მხოლოდ შეამცირა თავად საცხობში ნარჩენების პრობლემა, არამედ, მაღალხარისხიანი პური უფრო ხელმისაწვდომიც გახადა. კომპანიამ სავაჭრო ავტომატები ქალაქის ზოგიერთ მეტროსადგურში დადგა, სადაც საცხობის დაკეტვის შემდეგ დარჩენილ პურ-ფუნთუშეულს 30%-იანი ფასდაკლებით ჰყიდიან. ავტომატები პურით იმდენად პოპულარული გახდა, რომ მის წინ რიგები იქამდე დგება, ვიდრე კარადებს პროდუქციით შეავსებენ. საბოლოოდ, ავტომატში გასაყიდი პური აღარ რჩება. საცხობის თანამშრომლებმა დაითვალეს და აღმოაჩინეს, რომ ამ მეთოდით, წელიწადში ორ ტონამდე საკვები ნარჩენი დაიზოგა, რაც სარგებელს აძლევს არა მხოლოდ თავად საცხობს, არამედ, მთლიანად პლანეტასაც. ამ პროექტის წარმატებამ, შესაძლოა, სხვა საწარმოებსაც უბიძგოს მსგავსი ნაბიჯისკენ, თანაც არა მხოლოდ იაპონიაში, არამედ, მთელ მსოფლიოში.

ჩიპიანი პაციენტი კურსორს აზრის ძალით მართავს

პირველი ადამიანი, რომელსაც კომპანია Neuralink-მა თავის ტვინში ჩიპი ჩაუდგა, ჩანს, სრულად რეაბილიტირდა და ახლა მას შეუძლია, კომპიუტერის „თაგვი“ აზრის ძალით მართოს. ამის შესახებ თავად სტარტაპის დამფუძნებელმა, ილონ მასკმა განაცხადა. „პროგრესი შესანიშნავია, პაციენტმა ოპერაცია კარგად გადაიტანა და სრულად გამოჯანმრთელებულია, ჩვენთვის ცნობილი ნეირონული ეფექტებით. მას შეუძლია, უბრალო ფიქრით, „თაგვის“ კურსორი მართოს ეკრანზე“, – აღნიშნავს მასკი.

ამ ეტაპზე, კომპანიაში დამატებით ინფორმაციას არ იძლევიან. Neuralink-მა პაციენტს, პარალიზებული კიდურებით, თავის ტვინში ჩიპი იანვრის ბოლოს გადაუნერგა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის სრულფასოვნად შეძლებს „სმარტფონისა“ და კომპიუტერის აზრის ძალით მართვას.

მეტროში ბიბლიოთეკა გახსნეს

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის მეტროში, Piaa Unirii-ის სადგურზე მინი-ბიბლიოთეკა გაიხსნა თვითმომსახურებით. ამ გზით მგზავრების მოტივირება სურთ, რომ უფრო მეტი წაიკითხონ. ქვეყანაში ჩატარებულმა სოციალურმა კვლევებმა აჩვენა, რომ დაახლოებით, 11.1 მილიონ რუმინელს, გასულ წელს, ერთი წიგნიც კი არ აქვს წაკითხული. ამის ერთ-ერთი მიზეზი დროის უქონლობაა. მეტროში არსებულ ბიბლიოთეკაში წიგნები შეგიძლიათ ადგილზე გადაიკითხოთ, ან წაიღოთ სახლში იმ პირობით, რომ მას აუცილებლად დააბრუნებთ, ან სხვა წიგნით ჩაანაცვლებთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, სანაცვლო წიგნი არ უნდა იყოს უცხო ენაზე. მეტროსთვის წიგნები გაიღეს დედაქალაქის და რუმინეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკებმა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, ბუქარესტის მეტროში ელექტრონული სამკითხველო გახსნეს, თავისი QR-კოდებით. როგორც ჩანს, ამ იდეამ დიდად არ გაამართლა. ამჯერად რუმინელებს წიგნების გადაფურცვლას მეტროთი მგზავრობის დროს სთავაზობენ.

ლეგენდარულ ოთხეულზე ფილმს გადაიღებენ

მსოფლიოში აღიარებული რეჟისორი, „ამერიკული სილამაზის“ ავტორი სემ მენდესი, Sony Pictures Entertainment-თან ერთად, ახალ კინოპროექტს იწყებს ლეგენდარულ ლივერპულელ ოთხეულზე. სურათი ოთხნაწილიანი იქნება. თითოეული ფილმი The Beatles-ის თითოეულ წევრს – ჯონ ლენონს, პოლ მაკარტნის, ჯორჯ ჰარისონსა და რინგო სტარს მიეძღვნება. რეჟისორის თქმით, ამ ჯგუფზე გადაღებულმა სურათმა უნდა შეცვალოს წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის „კინოში წასვლა“. მენდესს უკვე აქვს ეკრანიზაციის უფლებები The Beatles-ის სტუდიისგან Apple Records-ს, პოლისა და რინგოსგან, ასევე ჯონისა და ჯორჯის ოჯახის წევრებისგან. პოპულარული ჯგუფის წევრებზე შექმნილი კინოპროექტის გაქირავებაში გამოსვლა 2027 წლისთვის არის დაგეგმილი.

ნერწყვით ძუძუს კიბოსაც დაადგენენ

სწავლულებმა ნერწყვის ტესტი შეიმუშავეს, რომელიც ძუძუს კიბოს გამოვლენის საშუალებას იძლევა. ახალმა ტექნოლოგიამ მეტად დამაიმედებელი შედეგები აჩვენა ექსპერიმენტული კვლევების დროს. მოწყობილობა რომ გამოიყენოთ, საკმარისია, ნერწყვის მცირე ნიმუში მოათავსოთ ტესტ-ზოლზე. ის მუშავდება სპეცოფიკური ანტისხეულებით, რომელიც რეაგირებს სიმსივნის ბიომერკერებზე. სიახლის ავტორები ამტკიცებენ, რომ ერთი ტესტირების დრო ხუთ წამზე ნაკლებს მოიცავს. შედეგების ინტერპრეტირება შესაძლებელია სწრაფად და მარტივად იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამედიცინო დაწესებულება ხელმისაწვდომი არ არის.

თირკმლიდან 300 კენჭი ამოუღეს



ტაივანის ქალაქ ტაინანის მცხოვრებ 20 წლის ქალს თირკმლიდან 300-ზე მეტი ქვა ამოუღეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, გოგონა კლინიკაში წელის მწვავე ტკივილებითა და მაღალი ტემპერატურით შეიყვანეს. ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ მისი მარჯვენა თირკმელი გამოტენილი იყო წვრილი კენჭებით. პაციენტმა აღიარა, რომ ძალიან ცოტა სითხეს იღებს და წყურვილს უფრო მეტად გაზიანი სასმელით, ან ცივი ჩაით იკლავს. ჩანს, თირკმელები ქრონიკული გაუწყლოებისგან დაზიანდა. მედიკოსებმა შეძლეს, ავადმყოფის თირკმლიდან კენჭების ამოღება მინიინვაზიური ოპერაციით, რის გამოც ისინი ძალიან ამაყობენ. მათ 300-ზე მეტი მინერალური წარმონაქმნი ამოიღეს, რომელთა ზომები 0.5-დან 2 სანტიმეტრამდე იყო. ეს კლინიკური შემთხვევა ცხადი მაგალითია იმისა, როგორი საშიშია არასწორი კვებითი ჩვევები და სითხის არასაკმარისი რაოდენობით მიღება.

კოსმოსში ხის თანამგზავრს გააგზავნიან

იაპონია მსოფლიოში პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც კოსმოსში ხისგან დამზადებულ თანამგზავრს გააგზავნის. The Guardian-ის მონაცემებით, მაგნოლიის ხისგან დამზადებული ზონდის გაშვება წელსაა დაგეგმილი. როგორც ავტორები აცხადებენ, ყველა თანამგზავრი, რომელიც დედამიწის ატმოსფეროში ბრუნდება, იწვის და ალუმინის ოქსიდის უმცირეს ნაწლაკებს წარმოქმნის, რაც შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში, ატმოსფეროს ზედა ფენებში დაცურავს. ამას პლანეტის ეკოლოგიისთვის ზიანი მოაქვს. კოსმოსურ სადგურზე ტესტირების დროს, მაგნოლიამ საუკეთესო შედეგები აჩვენა. ხის თანამგზავრის ამოცანაა, შეამოწმოს, შეიძლება თუ არა კოსმოსში, ბიოხრწნადი მასალები მეტალის ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივად გამოიყენონ.

ხელმძღვანელების ზარებს არ უპასუხოთ

ავსტრალიის ხელისუფლებამ მიიღო კანონპროექტი, რომელიც ქვეყნის მოქალაქეებს უფლებას აძლევს, არ უპასუხონ ხელმძღვანელების ზარებს, ან შეტყობინებებს, თუკი ეს არასამუშაო დროს ხდება. მთავრობა ამას იმით ხსნის, რომ შრომითი კოდექსის შესწორებები მიმართულია თანამშროლების პირადი ცხოვრების უფლების დაცვაზე. „ადამიანი, რომელსაც 24-საათიანი ანაზღაურება არ აქვს, არ უნდა დაისაჯოს იმისთვის, რომ ხელმისაწვდომი არ არის არასამუშაო დროს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ალბანეზემ. კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმებსაც დამსაქმებლებისთვის, რომლებიც საკუთარი თანამშრომლების სიმშვიდეს არასამუშაო დროს დაარღვევენ.

ჯაგრისი ხელოვნური ინტელექტით

შეერთებულ შტატებში გამოჩნდა კბილის ჯაგრისი ხელოვნური ინტელექტით. სიახლე კომპანიებს Oral-B და Procter & Gamble ეკუთვნით. ჯაგრისს Genius X დაარქვეს. „ჭკვიანი“ გაჯეტის შემქმნელები აცხადებენ, რომ ჯაგრისი მომხმარებელს დაეხმარება, ყოველდღიურად განსაზღვროს კბილების გახეხვის აუცილებელი დრო. სპეციალისტებმა ალგორითმი შექმნეს, რომელიც ჰიგიენის ამ პროცესს გააუმჯობესებს. კბილების გახეხვისას აუცილებელია, შესაბამისი აპლიკაციის გააქტიურება „სმარტფონში“. ჯაგრისი მომხმარებელს იმასაც აუწყებს, ზედმეტად მაგრად ხომ არ აწვება ის კბილის ემალსა და ღრძილებს.

ახალი სახეობის საწვავი აღმოაჩინეს

როგორც ჩანს, ებრაელი სწავლულები ბენ-გურიონის უნივერსიტეტიდან, შეძლებენ, ენერგეტიკის სფეროში „მწვანე რევოლუცია“ მოხდენას. მათ მიერ შემუშავებული ეკოლოგიური ნედლეულის წარმოების პროცესი, რომელიც ნავთობს შეცვლის, დედამიწაზე ყველაზე უფრო გავრცელებული ორი ქიმიური ნაერთის – წყლისა და ნახშირმჟავა აირის გამოყენებას გულისხმობს. საწვავის სხვა, ალტერნატიული წყაროებისგან განსხვავებით, რომლებიც ელექტრონულ ელემენტებს შეიცავენ და მისი შექნისთვის დამატებითი ინსფრასტრუქტურაა საჭირო. ახალი, „მწვანე“ ნედლეული, უბრალოდ, შეცვლის ნავთობს, რომელსაც გამოიყენებენ საწვავის გადამამუშავებელ ქარხნებში. მეცნიერების თქმით, ეს ინოვაციური ტექნოლოგია კატალიზაციის პროცესს ეფუძნება, რომლის დროსაც განსაკუთრებულ მეთოდს იყენებენ და რომლისთვისაც აქამდე არავის მიუმართავს. ეს პროცესი სინთეტური აირის გამოყენებას გულისხმობს, რომელიც წყალბადისა და ნახშირმჟავა აირის შერწყმით მიიღება. მისი მასობრივი წარმოებისთვის ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მწვანე საწვავის“ ახალი სახეობა, შესაძლოა, სულ მალე, 5-10 წელიწადში ყველგან გამოიყენონ.

კაკალი გახდომაშიც დაგეხმარებათ

კაკლის რეგულარული მომხმარება ხელს უწყობს წონის დაკლებას და სიმსუქნის განვითარების ალბათობას ამცირებს, – აცხადებენ ამერიკელი სწავლულები, ჰარვარდის უნივერსიტეტიდან. სპეციალისტებმა კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 40-დან 75 წლამდე ასაკის 50 ათასზე მამაკაცი და 24-დან 44 წლამდე ასაკის 30 ათასამდე ქალი მონაწილეობდა. კვლევამ აჩვენა, რომ ნებისმიერი სახის კაკლის მოხმარების გაზრდა ჭარბი წონის მომატების ნაკლებ რისკს უკავშირდებოდა. ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ პორცია ნიგოზს (28 გრამი) კიდევ 14 გრამს ამატებდნენ, ზედმეტი კილოგრამების პრობლემა არ ჰქონდათ. სწავლულების თქმით, ასეთი ეფექტის მიზეზი ის არის, რომ ნიგვზის ღეჭვა ადამიანისგან გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს, რის შედეგადაც იხარჯება კალორიები და ნაკლები ენერგია რჩება სხვა პროდუქტების საჭმელად. გარდა ამისა, კაკალში უჯრედისის მაღალი შემცველობის გამო, ადამიანი უფრო დიდხანს გრძნობს თავს დანაყრებულად.

სექსი მეხსიერებას აქვეითებს?

ყველაფრის მკვლევარმა ბრიტანელმა სწავლულებმა დადგინეს, რომ ინტიმური კავშირი გავლენას ახდენს ადამიანის მეხსიერებაზე. ამის მაგალითად მათ 54 წლის ამერიკელი ქალის ისტორია მოჰყავთ, რომელიც კლინიკაში პანიკურ მდგომარეობაში მიიყვანეს. გაირკვა, რომ მას საერთოდ არაფერი ახსოვდა, რა ხდებოდა მის თავს, ბოლო 24 საათის განმავლობაში. ეს კი ქმართან სექსის შემდეგ დაემართა. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ქალი, ეგრეთ წოდებული, გლობალური ამნეზიით დაავადდა, რომელიც დროებითი ხასიათისაა, მაგრამ მისი გამოვლენის სიმწვავის გამო, ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანზე. მედიკოსები ამბობენ, რომ ეს სრულიად არ ვნებს ტვინს, რაც ქალის ტვინზე ჩატარებულმა სკანირებამაც დაადასტურა. სტატისტიკის თანახმად, წელიწადში ყოველ 100 ათას ადამიანზე 5-მდე ასეთი ამნეზიის შემთხვევა მოდის. ჩვეულებრივ, მეხსიერება რამდენიმე საათის შემდეგ აღდგება. ყველაზე ხშირად კი გარდამავალი გლობალური ამნეზია 50-60 წლის ადამიანებს ემართებათ.

ტვინის სიმსივნეს ახალი მეთოდით უმკურნალებენ

იტალიელმა სწავლულებმა, ტრიესტის უნივერსიტეტიდან, ტვინის სიმსივნის გენური თერაპიის ახალი მეთოდი გამოიგონეს. მათ მიერ ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ ახალი მიდგომა შეიძლება საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდეს, რადგან ტვინის სიმსივნის შემთხვევაში, ხშირად, ქირურგიული ჩარევა შეუძლებელია. როგორც მკვლევარებმა დაადგინეს, Emx2-ის გენი, ადამიანის ემბრიონის განვითარების გარკვეულ სტადიებზე ძალზე აქტიურია და ტვინში ნეირონების ფორმირებას უწყობს ხელს, ხოლო მომავალში ის „ითიშება“. ამის შემდეგ, ნეორონების ფორმირების პროცესი ნელდება და იწყება ასტროციტების ფორმირება, რომელთა მეშვეობითაც იკვებებიან უკვე არსებული ნეორონები. სწავლულთა თქმით, ამ გენის ხელოვნურად აქტივაციის შემთხვევაში, ის არა მარტო ასტროციტების ფორმირებას შეაჩერებს, არამედ, მისი მსგავსი სიმსივნური უჯრედების განვითარებასაც შეაფერხებს. გენეტიკოსებმა დაადგინეს დნმ-ის არეალი, რომელიც მხოლოდ დაავადებულ უჯრედებში მისი გააქტიურების საშუალებას იძლევა, ჯანმრთელი უჯრედები კი დაუზიანებელი რჩება.

ჩაის ნათურებში აყენებენ

მარგალიტის ჩაი ანუ ჩაი ტაპიოკას ბურთულებისგან ძალიან პოპულარულია ტაივანსა და სხვა აზიურ ქვეყნებში, რადგან ერთდროულად ანაყრებს და ამხნევებს კიდეც. ცოტა ხნის წინ, ამ მიმართულებით, „სერიოზული“ ცვლილებები მოხდა – კაფეებმა, რომლებიც ამ სასმელზე არიან სპეციალიზებულნი, მისი გაყიდვა ჩვეულებრივი ჭიქების ნაცვლად, შუშის ნათურებში დაიწყეს. ამასთან, ბურთულებიანი ჩაისგან გამამხნევებელი სასმელის დასამზადებლად, დაწესებულებებმა მიმზიდველი ფორმების გოგონები დაიქირავეს, რადგან მიაჩნიათ, რომ კლიენტებმა ენერგია არა მხოლოდ ჩაისგან უნდა მიიღონ, არამედ, პერსონალისგანაც, რომელიც მას ამზადებს.

კბილები გატეხილი გულის წილ

34 წლის პოლონელმა სტომატოლოგმა ქალაქ ვროცლავიდან, ანა მაკოვიაკმა ყოფილ საყვარელს, 45 წლის მარეკ ოლშევსკის სამაგიერო სასტიკად გადაუხადა – მას ყველა კბილი ამოუღო. დაშორებიდან ცოტა ხანში მარეკმა, სისულელით ჩაიდინა ეს, თუ სიძუნწის გამო, კბილების პრობლემის მოსაგვარებლად, კვლავ ანას მიმართა. დაშორებით გამწარებულმა დანტისტმა პაციენტი დააძინა და ნარკოზის ქვეშ მყოფს ყველა კბილი დააძრო. „სამუშაოს“ დასრულების შემდეგ, გამოფხიზლებულ ყოფილ საყვარელს ანამ განუცხადა, რომ საქმე რთულად ჰქონდა და სპეციალისტთან სტუმრობა ურჩია. „თავის ხელში აყვანას ვცდილობდი, მაგრამ ჩემს წინ დაძინებული რომ დავინახე, თავი ვერ შევიკავე. გავიფიქრე, ამ ნაგავმა პასუხი უნდა აგოს იმ ტკივილისთვის, რაც მომაყენა. გატეხილი გულის ტკივილი კბილის ტკივილს არ ჩამოუვარდება“, – განაცხადა სასამართლოზე შურისმაძიებელმა დანტისტმა. მარეკის ახალმა საყვარელმა უკბილო მეგობარი მალევე მიატოვა, დაზარალებულს, პირის ღრუს მოსაწესრიგებლად, საკმაო დრო და თანხა დასჭირდება. ანა მაკოვიაკს სამუშაო ლიცენზია ჩამოართვეს და მას სამწლიანი პატიმრობაც ემუქრება.

ჭორაობა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა

აშშ-ის მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა გაარკვია, რომ მეგობრებთან რეგულარული ურთიურთობა და საუბარი ქალს უფრო ჯანმრთელსა და ბედნიერს ხდის. ამის მიზეზი პროგესტერონის – იმ ჰორმონის დონის მომატებაა, რომელიც სტრესისა და შიშის გრძნობას ახშობს. სწავლულები ამბობენ, რომ ჰორმონის დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ ურთიერთობებში. კერძოდ, რაც მაღალია მისი დონე, მით უფრო იზრდება სხვების დახმარების სურვილი, თუნდაც ეს საკუთარი სიცოცხლის გაწირვის რისკს უკავშირდებოდეს. პროგესტერონის დადებით თვისებებზე აქამდეც ცნობილი იყო, თუმცა მეცნიერებმა მხოლოდ ახლა დაადგინეს, რომ ჭორაობა და ბევრი ლაპარაკი არსებითად ზრდის ამ ჰორმონის დონეს. გარდა ამისა, ბრიტანელი მკვლევარების მიერ ჩატარებული გამოკითხვებით გაირკვა, რომ ჭორაობა გავრცელებულ დამოკიდებულებათა ტოპ-ათეულში მე-7 ადგილს იკავებს. სიას კი ყავა, შოკოლადი დ სოციალური ქსელი – Facebook ლიდერობენ.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და მინისტრის პირველმა მოადგილე შალვა ბედოიძემ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო თათბირი გამართეს.

სამუშაო თათბირზე ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების შედეგებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს, ნარკორეალიზატორების გამოვლენისა და დაკავების მიზნით ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბოლო წლებთან შედარებით, უპრეცედენტო რაოდენობის ნარკორეალიზატორია დაკავებული.

შეხვედრაზე, ტრეფიკინგისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს. აღსანიშნავია, რომ საქართველო, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და კვლავ ინარჩუნებს ადგილს უმაღლეს საფეხურზე პირველ კალათაში.

სამუშაო თათბირზე, ასევე, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის მიმართულებით არსებულ და სამომავლო საკითხებზე ისაუბრეს. დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ქვეყანაში წარგზავნილია პოლიციის 18 ატაშე, რომლებიც 36 სახელმწიფოს ფარავენ, მათ შორის, გასულ წელს, ირლანდიასა და ისრაელში მივლენილ იქნენ პოლიციის ატაშეები და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თანამშრომლებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა და გაწეული ეფექტიანი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲪᲮᲔᲚ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ – ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ჯ.ს. და 1983 წელს დაბადებული გ.ზ. დააკავეს.

ჯ.ს.-ს ბრალად ედება ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება, ხოლო გ.ზ. ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის არის დაკავებული.

ჯ.ს.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, ხოლო გ.ზ.-ს ქმედება 3-დან 7 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 18 თებერვალს, ღამის საათებში, ჯ.ს-ს თბილისში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში შელაპარაკება მოუვიდა მეგობართან, 1998 წელს დაბადებულ მ.ლ. – სთან. მოგვიანებით, ჯ.ს.-მ მას, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე, მეგობრებთან ერთად ავტომობილით მიაკითხა, ანგარიშსწორების მიზნით, იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და თანმხლებ პირებთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ სროლის ფაქტს შეესწრო, ბრალდებულისა და მოკლულის საერთო მეგობარი გ.ზ.-ც, რომელმაც მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში, მოწმის სახით გამოკითხვის დროს, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით, სამართალდამცველებს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა.

სამართალდამცველებმა, ჯ.ს. და გ.ზ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, ტარდება შესაბამისი ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები.

დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის ჯგუფურად, უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ცრუ ინფორმაციის მიცემის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ (NDI) ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წინასაარჩევნო საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოში მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული რელევანტური საკითხები განიხილეს და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

დელეგაციის წევრებმა ხაზი გაუსვეს, რომ საზოგადოებაში პოლიცია ნდობის მაღალი ხარისხით სარგებლობს, ასევე აღნიშნეს, რომ აქვთ პოზიტიური მოლოდინები მოახლოებული არჩევნების უსაფრთხო და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების კუთხით.

ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე.

მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების მნიშვნელობას და ამ კუთხით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჩართულობასა და უფლებამოსილ უწყებებთან თანამშრომლობას.

ამას გარდა, ალექსანდრე დარახველიძემ სადამკვირვებლო მისიას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გადამზადება არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის კომისიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობა; არჩევნების მიმდინარეობისას გამოვლენილ სამართალდარღვევებზე; საზოგადოების პროაქტიულად ინფორმირება; საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან აქტიური კომუნიკაცია და სხვა საკითხები.

შეხვედრის ბოლოს, მინისტრის მოადგილემ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაციის წარმომადგენლებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და მოახლოებული არჩევნების მშვიდ, უსაფრთხო და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების იმედი გამოთქვა.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.